საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 11 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 32 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 32

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიმაკაძე გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 7 თებერვალს მოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

იულია

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 ს. ქაშვეთის ეკლესიაში; დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 11 თებერვალს; დილის 10 საათიდან გადასვენებული იქნება ქაშვეთის ეკლესიაში წირვა; წირვის შემდეგ გასვენება და დასაფლავება მოხდება ვერის წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში. (497 2—2)

მღვდელი გიორგი ნიკოლოზის ძე და მეუღლე მისი ეფროსინე გაიოზის ასული, შვილები ერმალოზ, ივლიანე და კონსტანტინე გიორგის ძენი ჩიმაკაძეები, რძლები ანასტასია და ქეტო გულითადი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარი რძლის

იულია დავითის ასულის ჩიმაკაძისას

(4972 2—2)

ნესტორ, ვალიამ, ლავრენტი და ლიდა დავითის ძე ძიძიგურები, მათი მეუღლეები: მატრონე, ცაბო და საშა და შვილები: ქეთო, კუკუ, ავთანდილი, თამარი, შოთა, კოკო და თეიმურაზი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასი დისას, მეორენი მულისას და მესამენი მამიდასას

იულია დავითის ასულის ჩიმაკაძისას

(497 2—2)

გულდამწვარი მეუღლე ანნა შვილებით: კატო, მართა და ვახტანგი, ძმა იოსები მეუღლით, დები: სონა და მარიამი, სიძეები: მიხეილ ბაზერაშვილი, ვანო მათიაშვილი, ქვისლები: კოტე და ეთერი მაისურაძენი და მიქელ შარაშიძე, ბიძა მღ. იოსებ კვალიაშვილი, ბიძაშვილი მიხეილ მაისურაძე, მამიდაშვილი ნინა ქმრით, სიმამრი მეუღლით ალექსი ლაშქარაშვილი, მამიდა მეუღლისა მელანია შვილებით ნინიკაშვილები და ბ. კახიაშვილი მეუღლით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

იაკობ ივანეს ძე მაისურაძისას.

გამოსვენება ხუთშაბათს, 12 თებერვალს მარიამის ეკლესიაში დილის 10 საათ., ლუარსაბოვის შესახვევი № 2. ხოლო დაკრძალვა პეტრე პავლის სასაფლაოზე. (498—2—2)

მეუღლე ბესარიონ, ძმა მანასე, რძალი ოლღა, ქალები ქეთევან ([illegible]) და იუსტინე ბურჭულაძენი, ტარასი და ლუკა ღლონტები მეუღლეებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი

ივლიტე ბურჭულაძისას

დაკრძალვა მოხდა გუშინ, 10 თებერვალს 3 საათზე სოფ. [illegible] ეკლესიის გალავანში. (ფ 1—1)

მეუღლე ვარლოფინე, შვილები: შოთა, ცეცილია, ისზო და მარო, სიძეები: ილია ელიაძე, ალექსანდრე დვალიშვილი, რძალი ნადია და შვილის შვილები ალიოშა და ლოლა გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

ალექსი ინწიროყვას

გარდაცვალებას. დასაფლავება ოთხშაბათს, 11 თებერვალს, ს. ზანჩეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე. (504 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ბარბალე სილიქაძისა, მარინე აბაშიძისა, ნინა ქურიძისა, პელაგია კაკაბაძისა, კირილე აბაშიძე, პორფილე ქურიძე და თევდორე კიკვაძე აცნობებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ სოფ. ბკუთში გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, მეორეთა ძვირფასი მამა, ხოლო მესამეთა დაუვიწყარი სიმამრი

სილიბისტრო მაქსიმეს ძე სალუქვაძე

რომლის დასაფლავება მოხდება თებერვლის 12 ს ხუთშაბათს ქვემო ბკუთის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. (506 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სალომე ბეჟანის ასული, შვილები: ნადია, ვერა, ნინო, თამარ, ელენე და თინა ქენთელიძენი, სიძეები: გიორგი ანაკიძე, ვიქტორ წიქორიძე და ივანე ნოდია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ოქროპირ ვასილის ძე ქუნთელიას

გარდაცვალებას ს. საჯავახოში, დაკრძალვა ხუთშაბათს 12 თებერვალს 2 ს. მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში (ფ. 1—1)

მეოთხე რაიონული კოლექტივი

ხუთშაბათს 12 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ვერის მუშათა კლუბში იწვევს პარტიის წევრთა

საზოგადო კრებას

დღის წესრიგი: 1) [illegible], 2) [illegible]. 3) [illegible] და 4) [illegible] წევრთა არჩევნები, 5) [illegible]. [illegible]

(ფფ 1—1) მეოთხე რაიონული კოლექტივი.

---

15 ენკენისთვეს 1919 წელს ქ. ქუთაისიდან სამუშაო ხელქვეითებისათვის ფოთში გაემგზავრა

კარპე ფირანის ძე შენგელია

იქიდან მას აპირებდა ტუაფსეში წასვლა.

რადგან აქამდის მისგან არავითარი ცნობა არა მაქვს, ვთხოულობ ყველას, ვისაც ის ყავს სადმე ნახული, ან რაიმე ცნობები აქვს მასზედ შემატყობინოს, რისთვისაც მიეცემა ჯილდოთ სამი ათასი მანეთი. მისამართი: ქ. ქუთაისი, მოსე ფირანის ძე შენგელია, ორპირის ქუჩა. (465—3—3)

დავით კლდიაშვილის
იუბილე

ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით კვირას, თებერვლის 15-ს სახელმწიფო თეატრში მხცოვან ბელეტრისტის 30 წლის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის იუბილე იმართება. ზეიმის პროგრამა საბოლოოდ ასეა შემუშავებული:

1) იგ. გომართელის მოხსენება იუბილიარის შემოქმედების შესახებ,
2) მილოცვები, 3) „დარისპანის გასაჭირი" 1 მოქ. იუბილარისა.
4) „უბედურება". წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ქართველი მსახიობნი (ნ. 3—1)

1920 წლის 20 თებერვლიდან **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა** აარსებს მოკლევადიან (ოთხთვიან)

საბუღალტერო კურსებს

სწავლა კურსებზე იქნება მოწყობილი საღამოობით სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე (ეროვნული საბჭოს ქ., 11 ყოფ. ფრეილინის ქუჩა).

სწავლება ქართულ ენაზე

კურსებზე ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საქ. სავაჭრო სამრეწველო პალატის საკანცელარიო განყოფილების გამგე მიხეილ თავქარაშვილისაგან ყოველ დღე პალატის ბინაზე, შუადღის 12 საათიდან—2 საათამდე (ეროვნული საბჭოს ქ. № 11; ყოფილი ფრეილინის ქუჩა). (464—3—3)

ახალი წიგნი

გამოვიდა სარგის კაკაბაძის მიერ შედგენილი

„საქართველოს მოკლე ისტორია"

ახალი საუკუნეების ეპოქა (მე-16 საუკუნიდან 1910 წლამდის), გამოცემა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირისა.

წიგნს დართული აქვს ისტორიული რუკა, შეიცავს საშუალო მოზრდილ ფორმატის 228 გვერდს და ღირს ხუთი თუმანი.

თბილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პრ.

მთავარი საწყობი: თბილისი, კოოპერატივის ქუჩა № 15, საქ. ცენტ. კოოპერ. კავშირი, ტელეფ. № 4—32. (ნ. 3—1)

კბილის ექიმი აგრაფინა დავითის ასული

აბაშიძე

განაახლა კერძო პრაქტიკა. იღებს ავადმყოფებს დილ. 10—1 ს. და 4—6 ს. საღ. ელისაბედის ქუჩა № 49 (კუთხე ელისაბ., რუსტ. და ბელგიელების ქუჩ). (467 6—3)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.)

საბჭოთა რუსეთის ორმაგი პოლიტიკა

შეგნებულ მოქალაქეს, რომელსაც კეთილსინდისიერად უნდა გაერკვიოს საბჭოთა რუსეთის დღევანდელ პოლიტიკაში, ხელში აქვს დიდძალი მასალა, ლენინის მთავრობის, ასე ვთქვათ, „საგარეო ლიტერატურა": მოწოდება უკრაინელებისადმი, მიწერ-მოწერა ესტონელებთან, ლიტველებთან, ლატიშებთან, მოწოდება პოლონეთის ხალხისადმი, ნოტები საქართველოსადმი, ნოტები აზერბეიჯანისადმი და სხ. და სხ. ამ „ლიტერატურის" ჩაკვირვებით შესწავლა, მის სხვადასხვა ნიმუშების ერთიმანეთთან შედარება, გამორკვევა ბოლშევიკური პოზიციის ცვლილებისა პოლიტიკურ პირობების ზედგავლენით,— ყველა ეს საშუალებას მოგვცემს ჩავწვდეთ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის არსს და გავითვალისწინოთ ის განზრახვები და მიზნები, რომლებიც ამ არსებითად გამომდინარეობენ.

შევადაროთ, მაგალ., ბოლშევიკების პოზიცია საქართველოს მიმართ იმ პოზიციას, რომელიც მათ უჭირავთ პოლონელთა მიმართ ან თუნდაც ჩვენ მეზობელ აზერბეიჯანის მიმართ. დედააზრი იმ „ნოტებისა", რომლებსაც საქართველოს მთავრობას უგზავნის საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა „ნარკომი" ჩიჩერინი, რამდენიმე სიტყვით შეიძლება გამოვხატოთ: საქართველო ვალდებულია შემოიღოს ისეთივე სახელმწიფოებრივი წესები, როგორიც საბჭოთა რუსეთშია. მან უნდა უარი სთქვას ყველა იმ დემოკრატიულ წესებზე, რომელიც მთელმა ხალხმა ისურვა. მან უნდა უარი სთქვას იმ თავდაცვით საგარეო პოლიტიკაზე, რომელსაც აქამდის მისდევდა — უნდა გასწყვიტოს ყოველივე კავშირი ევროპასთან და ჩაება რუსეთის სამოქალაქო ომში და საბჭოთა რუსეთის მხარი დაუჭიროს ევროპასთან ბრძოლაში. ნოტის მთელი კილო აგრესიული და შეურაცხმყოფელია. მხოლოდ სრული მორჩილების საშუალებით აძლევს ჩიჩერინი საქართველოს საშუალებას საბჭოთა რუსეთის გული მოიგოს. როგორ განსხვავდება საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი „ნოტის" კილო იმ კილოსაგან, რომელიც იმავ ჩიჩერინმა გაუგზავნა აზერბეიჯანს? საქართველოს მთავრობის პასუხი ჩიჩერინს „უდიდესი განცვიფრებით გაუგია". აზერბეიჯანის სწორედ იმნაირივე პასუხი მას მხოლოდ „სამწუხაროდ" მიუჩნევია. საქართველოს მთავრობას ჩიჩერინი მკვახე წინადადებას აძლევს: „თქვენზე არის დამოკიდებული დაამტკიცოთ საქმით", რომ დენიკინს არ თანაუგრძნობთ. აზერბეიჯანის მიმართ კი იგი „იმედს გამოსთქვამს, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ნაყოფს გამოიღებს". საქართველოს მთავრობას ჩიჩერინი მწარედ ამხილებს, საბრალმდებლო სკამზე სვამს, აზერბეიჯანს იგი არწმუნებს, უბნის, საქართველოს აშინებს, აზერბეიჯანს თავს აწონებს. საქართველოსათვის ჩიჩერინი სცნობს მხოლოდ „მშრომელ ხალხის ნაციონალურ თვითგამორკვევას", ე. ი. საბჭოთა წესების შემოღებას. აზერბეიჯანს კი იმით აშინებს, რომ დენიკინის გამარჯვება ნიშნავს „აზერბეიჯანის მცხოვრებთა ნებისყოფის გამოხატვის" სრულს გაუქმებას, ე. ი. თითქოს აქ ერის თვითგამორკვევაც კია აღიარებული.

ქვემოდ უფრო ნათლად გაიცნობთ ბოლშევიკების ეს ორმაგობა, როდესაც შეადარებთ მათს ლაპარაკის კილოს საქართველოსთან და პოლონეთთან. პოლონეთის ხალხს ლენინის მთავრობა „მიმართავს ძმური სიტყვით", იგი არწმუნებს: „ჩვენ გვსურს არა პოლონეთის დაპყრობა, არამედ მასთან ზავი".

„რუსეთის მუშებმა და გლეხებმა პოლონეთის დამოუკიდებლობა იცნეს არა მომენტის ზედგავლენით, მათ პირველად იქადაგეს ეს პოლონეთის ხალხის დამოუკიდებლობა, მათ ეს მიიღეს უდავოდ და სამუდამოთ და მიიღეს იმის აშკარა შეგნებით, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობა ერთსა და იმავე დროს ემსახურება როგორც თქვენ ისე ჩვენ ინტერესებს".

საბჭოთა რუსეთი „ფართო დათმობის გზით ზავს პოულობს ყველა პატარა ერთან", არწმუნებს ლენინის მთავრობა პოლონელებს, მაგრამ იმას აღარ იხსენიებს, რომ ამ „ყველა პატარა ერში" მას არ შეჰყავს ქართველი ერი.

პოლონელებთან ლაპარაკის დროს ბოლშევიკები „პრინციპიალურად უარსყოფენ ყოველ ნაციონალურ შევიწროებას", მაგრამ ავიწყდებათ ის, რომ ქართველ ერს აყენებენ სწორედ ამნაირ შევიწროებას.

პოლონელებთან ლაპარაკის დროს მათ ესმით, რომ ეს შევიწროების პოლიტიკა „ბოლოს და ბოლოს მათივე ე. ი. თვით რუს ხალხის წინააღმდეგ იქნება მიმართული." საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკების დროს კი ეს ჭეშმარიტება სრულიად დავიწყებულია.

პოლონეთთან მოლაპარაკებაში „მან (საბჭოთა რუსეთმა) კარგათ იცის, რომ ეხლა ყველა ქვეყნის მშრომელთათვის ისეთი აუცილებელი არა არის რა, როგორც ზავი." საქართველოს კი ძალას ატანს, გინდა თუ არა მშვიდობიანობა უკუ აგდე, ნეიტრალიტეტი დაარღვიე და ჩაერიე რუსეთის საშინაო და საგარეო ომში.

ასეთია ბოლშევიკების „ორმაგი ბუხგალტერია". ასეთი ორმაგობა ადვილი ასახსნელია და დაფუძნებულია მეტად ვერაგულ პოლიტიკურ ანგარიშზე. სანამ დასავლეთ ევროპაში, მეტადრე გერმანიაში, ავსტრიაში და უნგრეთში, ძლიერი იყო რუსეთის ბოლშევიზმის მონათესავე მოძრაობა, საბჭოთა რუსეთი მედგარს და თავდასხმით პოლიტიკას აწარმოებდა იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც მასა და მის იდეურ მოკავშირეთა შუა მდებარეობდენ, ე. ი. გალიციის, პოლონეთის, ბალტიის რესპუბლიკების მიმართ; დღეს „სპარტაკიზმი" ჩაქრობილია გერმანიაში, ბელა კუნის საბჭოთა რესპუბლიკა დაემხო უნგრეთში და მის ნაცვლად ძლიერათ იფეთქა მონარქისტულმა მოძრაობამ. მოსკოვის მთავრობას დასავლეთისკენ გზა შეეკრა, იქითკენ მის ლტოლვას აღარა აქვს მიზანი. და ადვილი ასახსნელია, თუ ლენინის მთავრობა ცდილობს დასავლეთის მხრით შერიგება მიახწიოს და თავისი თავდაცვა მაინც უზრუნველჰყოს იქ, სადაც თავდასხმა არ გაუვიდა.

თავის პოლიტიკური მიზნები ლენინის მთავრობას დღეს სულ სხვა მხარეზე გადააქვს: მან „ჩალმოსან კომუნიზმს" დროშა აღმართა და ცდილობს მის ქვეშ შემოკრიბოს მთელი აღმოსავლეთის მუსულმანობა. მოლაპარაკებს მართავს ოსმალეთის იმპერიალისტებთან, ავღანისტანის მუსულმანებთან, ბუხარის ემირთან. აზერბეიჯანში და დაღესტანში საერთო პოლიტიკურ ხაზს ეძებს პან-მუსულმანებთან. ამ მხრივ საბჭოთა რუსეთის საქმე უფრო ადვილათ წავიდოდა, რომ მას გზაში არ ელობებოდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები. მათ შორის მუსულმანურ აზერბეიჯანზე თავს დასხმა ლენინის მთავრობას საქმეს წაუხდენდა, ამიტომ საჭიროა მასთან მორიგების კილო. რაც შეეხება საქართველოს, ყოვლად შეუძლებელია მისი ჩათრევა ბოლშევიკ-პანისლამისტების ბლოკში; ამიტომ მხოლოდ მის „გაკომუნისტებით", ე. ი. საბჭოთა რუსეთის ფარგალში შემოყვანით შეიძლება იმ მიზნების მიღწევა, რომელსაც ლენინის მთავრობა ისახავს აღმოსავლეთისაკენ.

ამით ახსნება ის უცერემონიობა და შეურაცხყოფა, რომელსაც იჩენს საბჭოთა რუსეთი საქართველოს მიმართ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბოლშევიზმი და მთიელნი.

„ვოლნი გორეცი" სხვათა შორის შემდეგს სწერს:

„როგორც არ უნდა იყოს დიდებული საბჭოური გამარჯვება ბოლშევიკებისა, ის გზა, რომელიც მათ აირჩიეს სოციალიზმის განახორციელებლათ, არის გზა დაღუპვის და დამარცხების.

ვის არ ესმის, რომ ბოლშევიკებს გამარჯვება საბჭოთა მთავრობის ძლიერებამ კი არ მიანიჭა, არამედ წერის რეაქციის შავი ყორნების არარაობამ და სულელობამ დენიკინ-კოლჩაკის სახით.

გამოსულელებულ გენერლის ბანდების დამარცხება ერთია; სულ სხვა არის საწარმოო დამოკიდებულებათა დამორჩილება და სოციალისტური მეურნეობის შექმნა. საბჭოთა რუსეთი მიმართავს კონცესიებისათვის უცხოელ კაპიტალისტებს და იჩენს ბურჟუაზიულ უძლურებას შრომის ორგანიზაციის საკითხში. ვისაც არ სჯერა, რომ მთიელები არ გადაიქცნენ იმ ჯირკებად, რომელთაც ლენინი და ტროცკი შეუბრალებლად შესდებენ თავიანთ სოციალისტურ ლაბორატორიის ბუხარში, სადაც მთიელნი უკვალოდ დაიწვიან და სოციალიზმს კი ვერაფერს სარგებლობას მოუტანენ.

ვისაც გათვალისწინებული აქვს, რომ მთიელი პატარა ხალხები იმ დიდ და საშინელ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებენ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმი და საბჭოთა მთავრობა, მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ თავიანთი ფიზიკური არსებობა მხოლოდ ნეიტრალიტეტის დაცვით.

მხოლოდ პოლიტიკური ავანტიურისტები და მანიაკები იფიქრებენ მთის ხალხების ჩათრევას იმისთანა უიმედო საქმეში, როგორიც არის კავშირი მთიელებისა აგონიაში მყოფ საბჭოთა რუსეთთან.

ჩვენ არ გვსურს იარაღი ვიყოთ არც კომუნისტების, არც დენიკინელების ხელში, არც საზოგადოთ რომელიმე მეზობლის, გარეშე ძალის სათამაშო გავხდეთ. ჩვენი ორიენტაცია უპირველესად ყოვლისა მიმართულია საკუთარ თავისაკენ. ჩვენ გვსურს ძმური ურთიერთობა კავკასიის ერებთან ვინც უნდა იყვნენ ისინი. ჩვენი ორიენტაცია მიმართულია საერთაშორისო დემოკრატიისა და კავკასიური კულტურისაკენ—ეს არის პოზიცია მთიელთა დემოკრატიისა.

ყველა, ვინც გრძნობს ისტორიულ პასუხისმგებლობას მთიელთა წინაშე, რომელნიც თავის ინტელიგენციისაგან მოელიან პასუხს აწინდელ პოლიტიკურ ვითარების წყლულ საკითხებზე—მტკიცეთ უნდა დაირაზმონ ამ დროშის გარშემო და მკაცრათ შეებრძოლონ როგორც შავებს მარჯვნივ, ისე წითლებს მარცხნივ".

სოციალური შენიშვნები

8. სინდიკალიზმი ჩვენში.

რუსეთში, სანამ ომი და რევოლუცია მოხდებოდა, ზოგიერთი ინტელიგენტური წრეები ძალიან ცდილობდენ რევოლუციური სინდიკალიზმისთვის გასავალი მიეცათ, შეექმნათ განსაზღვრული მიმართულება მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციებში და ამ ნაირათ ჩამოეშორებიათ რუსეთის პროლეტარიატი პოლიტიკურ მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ თავიდანვე დიდი განხეთქილება დაიბადა რუსეთის სოციალიზმის წრეებში და განსაკუთრებით მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და ეს განხეთქილება მოიცვა არა პარტიულ ფართო მასსებს, რევოლუციური სინდიკალიზმმა, რომელიც უფრო იქ ძლიერდება, სადაც მრავალი სოციალისტური ფრაქციები ებრძვიან ერთიერთმანეთს, სინამდვილეში ფეხი ვერ მოიკიდა. სინდიკალიზმი რუსეთში უფრო ლიტერატურული მოვლენა იყო, ვიდრე რაიმე მძლავრი სოციალურად მნიშვნელოვანი მიმდინარეობა. ეს არც შეიძლებოდა სხვანაირად. სინდიკალიზმის განვითარებისა და გასავრცელებლად საჭიროა თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება არსებობდეს, საჭიროა პარლამენტარული რეჟიმი ოდნავ მაინც იყოს განმტკიცებული. რუსეთში კი ყოველივე მოძრაობას თვითმპყრობელობა ხუთავდა. აი ამ საშინელი ბიუროკრატიული ძალის დამხობისაკენ იყო მიმართული ყველა ცოცხალ-მოქმედ სოციალურ კლასების და ჯგუფების ენერგია და ლტოლვილება. სინდიკალიზმის ყვავილი ვერ გაიფურჩქნებოდა თვითმპყრობელობის ბატონობაში. სხვას ყველაფერს

დღეს

გერმანული პრესის ცნობით გერმანია იძულებული იქნება ეცადოს რუსეთთან შეერთებას, უკეთუ მოკავშირენი დაჟინებით მოითხოვენ დამნაშავეთა გაცემას.

დამნაშავე პირთა სიას ამ ახლო ხანში მოკავშირენი ავსტრიასაც წარუდგენენ.

ამერიკის მთავრობა ფინეთთან მოლაპარაკებას აწარმოებს სამშობლოში დაბრუნებულ რუს-კომუნისტების ფინეთის ტერიტორიაზე გატარების შესახებ.

ბოლშევიკების ცნობით ამერიკამ წინადადება მისცა იაპონიას, რომ იაპონია არ ერეოდეს რუსეთის საქმეებში.

ვარშავის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბოლშევიკების საზავო წინადადებას პოლონეთისადმი, მოჰყვება რუსეთის მხრივ ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის და უკრაინის დამოუკიდებლობის აღიარება.

რომ თავი დავანებოთ, სინდიკალიზმი პირველ ყოვლისა მუშათა პროფესიონალური მოძრაობაა. და აი ეს მოძრაობა იყო შეზღუდული და შებორკილი პოლიტიკური მონობისაგან ..

საქართველოშიც გადმოისროლეს სინდიკალიზმის თესლი. აქ ხომ სულ უმნიშვნელო იყო სინდიკალიზმის იდეიურ-პრაქტიკული გავლენა. და თუ მაინც და მაინც ამაზე ვჩერდებით უფრო ვრცლად, ეს პირველად იმიტომ, რომ აღუნიშნველად არ გვინდა დავტოვოთ თვით ფაქტი საქართველოში გარედან შემოტანილი სინდიკალისტურ იდეების გაჩენისა. და მეორედ იმიტომ, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას გამოეყო მცირე ჯგუფი, რომელმაც შემდეგ დააარსა „საქართველოს რევოლიუციონურ სინდიკალისტთა მაშვრალთა კავშირი“. ამ კავშირმა ერთ დროს ყოველ კვირეული გაზეთიც კი გამოსცა—„ახალი ნაკადი“ სალოზუნგოდ ზეწარწერით „მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ამ პატარა ფაქტს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებიდან სწორედ სოც.-ფედერალისტთა პარტიასთან აქვს კავშირი, იმ პარტიასთან, რომლის ისტორია ხანგრძლივად ანარქო-სინდიკალისტური დროშით დაიწყო. თქვენ უთუოდ გაგახსენდებათ ის შინაური ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა ამ პარტიაში თავიდან პარლამენტარულ და ანტიპარლამენტარულ ფრთას შუა, ისიც იცით, რომ ბოლოს პარლამენტარულმა და სოციალისტურმა ფრთამ გაიმარჯვა ანტიპარლამენტარულ სინდიკალიზმზე, რამაც გამოიწვია პარტიის გაწმენდა „ანარქიულად განწყობილ“ ელემენტებისაგან. მაგრამ, როგორც ჩანს პარტია მაშინ სავსებით არ გაწმენდილა, თუ თორმეტი წლის შემდეგ მას კიდევ ახალი სინდიკალისტური ჯგუფი გამოეყო, რომელიც რევოლიუციურ-ფედერალისტური სოციალიზმის ცხვლის გამოდევნებლად გვევლინება და პარტიას უკიჟინებს თავის ძირითადი პრინციპების დავიწყებას და ოპორტუნისტურ ლაფში ამოსვრას!

არც იმის დამალვაა საჭირო, რომ მწერალი არჩილ ჯორჯაძე, ს.-ფედერალისტების პარტიის საუკეთესო მოაზროვნე პუბლიცისტი, კაი ხნის განმავლობაში ანარქო-სინდიკალისტობდა. სინდიკალიზმის მაძღვრებიდან მას უფრო ანარქისტული დასკვნები გამოჰყავდა ევროპის მრავალ კომუნისტურ ანარქისტებსა და სინდიკალისტებთან ერთად. არჩილ ჯორჯაძის მაშინდელი არგუმენტაცია და მსოფლმხედველობა არაფრით განსხვავდება არსებითად სორელის, ბერტის და სხ. არგუმენტაციისა და მსოფლმხედველობისაგან.

ერთს თავის წიგნში ა. ხაშულის ფსევდონიმით („სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში“, თფ. 1907 წ.) არ. ჯორჯაძე ახასიათებს რა თავის პარტიაში არსებულ მიმართულებებს, მთელი თავის არსებით იცავს ანტიპარლამენტარულ მიმართულებას, აშკარათ რევოლიუციურ სინდიკალიზმს უცხადებს ნდობას და აქებს ეხმობს ქართველ მშრომელთაც. ის გვიწერს თუ რაზეა დამყარებული სინდიკალიზმის მთავარი აზრი. იგი მწარმოებელთა კავშირია. მასვე სურს გაძლოს ნაწარმოების მომხმარებლად. ამიტომ იგი შრომის მოწესრიგების საქმეს თვითონვე კისრულობს და მაშასადამე უარჰყოფს ყოველივე დაწესებულებას, რომელსაც წარმოების შექმნა არ აქვს საფუძვლად. ვინც არ ივიწყებს სინდიკალიზმის ამ მხარეს, ის აღარ იტყვის იმას, ვითომ სინდიკალიზმი პარლამენტის წინააღმდეგ კი არ მოქმედობს, არამედ მარტოოდენ პარლამენტის გარედ. რა თქმა უნდა, მისი მოქმედება პარლამენტის გარედ სწარმოებს, ხოლო სწორედ იმიტომ, რომ პარლამენტის არსებობას ნიადაგი გამოეცალოს“. ეს სინდიკალისტური მსჯელობა ა. ხაშული—ჯორჯაძის, რომელიც ღრმათ დარწმუნებული იყო იმაში, რომ სინდიკატები, შრომის ბირჟები და სხ. ასეთი კავშირები მარტოოდენ კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღს არ წარმოადგენენ. „მათ უფრო დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. ისინი ჰქმნიან მომავალ საზოგადოების ახალ ფორმებს“.

არ. ჯორჯაძე თავის „ძველსა და ახალში“, რომელიც კიდევ ადრეა გამოცემული, უფრო დაწვრილებით და გულმოდგინეობით მოგვითხრობს, თუ სინდიკატები როგორ და რა საშუალებით ემსახურებიან თავის მიზნებს—მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლებას და მუშათა გაქირავებულ მდგომარეობის შემსუბუქებას. სინდიკალიზმი ერთი რევოლიუციური ტაქტიკის წყალობით, პირდაპირი, უშუალო მოქმედების საშუალებით ახორციელებს თავის მიზანს. ჯორჯაძეს დაწვრილებით აქვს გაკრიტიკებული დემოკრატია, სახელმწიფოებრიობა, პარლამენტარიზმი, სოციალისტური პარტიები და სხ. ყოველივე ის, რაც სინდიკალიზმის თვალსაზრისიდან „ძველს“ და დასაგმობს ეკუთნის, ხოლო ნაქები, ცათამდე აყვანილია სახელმწიფოს ანარქიული უარყოფა, ანტიპარლამენტარიზმი, სინდიკატები, მათი პირდაპირი მოქმედება—action directe და სხვ ყოველივე ის, რაც „ახალია“, სინდიკალისტურია.

საქართველოში, განსაკუთრებით იმ დროს, ყველაფერი ეს შორიდან მონაბერი სიოა, რომელიც ზედით ლიტერატურულ ზედაპირზე უგრილებს თავს თითო-ოროლა გატაცებულ ინტელიგენტს, მაგრამ ძირს ხალხის მასაში სრულებით არავის ეხება. სინამდვილე ვერ ეგუებოდა სინდიკალიზმს, ან თუ გნებავთ სინდიკალიზმი ვერ ეწყობოდა სინამდვილეს. და საკვირველია, რომ ამას ვერ ამჩნევდა ისეთი მგრძნობიარე მწერალი, როგორიც არ. ჯორჯაძე იყო.

დღეს პირობები შეიცვალა. საქართველო თავისუფალია, მას დემოკრატიული რესპუბლიკანური წყობილება ბატონობს, დემოკრატიული პარლამენტარიზმი მტკიცდება, პროფესიონალური მოძრაობა და კავშირებია, სოციალისტურ პარტიას უპყრია ხელთ სახელმწიფოებრივი საქმე, ე. ი. არის მთელი წყება აუცილებელ პირობების, რომელთა ნიადაგზე მოსალოდნელი და შესაძლებელია სინდიკალისტური პროპაგანდა. მართალია ერთი მთავარი პირობათაგანი, სახელდობრ განვითარებული კაპიტალისტური მეურნეობა გვაკლია, მაგრამ ეტყობა უამისოდაც იოლად ფიქრობს გამარჯვებას ჩვენი პატარა სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირი, ს.-ფედერალისტთა პარტიას რომ გამოეთიშა ჩვენში სოციალური რევოლიუციის მოსახდენათ, მან ალბათ ჯორჯაძისებური კითხვა დასვა: იხსნის თუ არა თავს სოც.-ფედერალისტთა პარტია „ღატაკებისაგან“ და შეაძლებს თუ არა ემსახუროს მშრომელ ხალხს მწარმოებელთა ორგანიზაციების ფარგლეში და რადგანაც დარწმუნდა, რომ პარტიის „ღატაკობისაგან“ განთავისუფლების ლოდინი სრულიად უიმედოა, აიღო და ცალკე დაარსა მაშვრალთა პარტია, რომელიც ემსახურება მშრომელ ხალხს მწარმოებელთა ორგანიზაციების ფარგლებში.

ეს მაშვრალთა პარტია თავის „ახალი ნაკადით“ სინდიკალისტური პარტიაა მაგრამ ის ისე შორს არ მიდის დემოკრატიის და პარლამენტარიზმის კრიტიკაში, როგორც არ. ჯორჯაძე. ეს იქიდან ჩანს, რომ მას სურს დამფუძნებელი კრების გამოყენება თავის სინდიკალისტური მიზნებისთვის და იქ თავმოყრილ დეპუტატებს აკუთნებს მუშათა ნება-სურვილების რეგისტრატორის, მაშვრალთა დავალების მაუწყებელთა ქვემდებარე და დამორჩილებულ როლს. ეს პარტია თავის საკუთარი სიითაც კი გამოვიდა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს. და თუ მან ვერავინ გაიყვანა თავისი დარბაზში „საპარლამენტოთ“, ეს პრინციპიალურად არაფერს სცვლის, ამტკიცებს მხოლოდ მაშვრალთა გავლენის პოლიტიკურ სისუსტეს.

მაშვრალთ როგორც სინდიკალისტთ, უკვე სჯერათ, რომ პარლამენტი მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიისთვის არის სასარგებლო. მუშებმა სხვა გზა უნდა აირჩიონ, სინდიკატების საშუალებით სოციალური რევოლიუციისაკენ. ისინი მოგვითხრობენ „იმ შეცდომებზე, რომელიც მუშათა კლასს დაუშვია ისტორიაში სახელმწიფოს იაკობინურ პარტიების მეოხებით. აი რისთვის გვძაგს სახელმწიფო, რომელსაც მუშათა მოძრაობას, აფერხებს, მის ინდივიდუალობას და ის კი, რაც აფერხებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას, წყეული უნდა იქნეს რევოლიუციის ცეცხლით“. ამ ბრძოლაში საუკეთესო იარაღათ ითვლება „თვით მუშების მიერ შემუშავებული, გაფიცვები, ბოიკოტი, "შეთქმულება, შეიარაღებული აჯანყება და ბოლოს კი საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გადაიქცევა სოციალური რევოლიუციის ალად“ და სხ. დასასრულ ისინი ამ გზაზე უჩვევენ შედგომას ჩვენს მუშებს. „ამ გზას ვერ ასცდება ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი“. ის საერთაშორისო მუშათა კლასთან ერთად უნდა გაუშურდეს ამ გზით „მსოფლიოს გასანთავისუფლებლად სახელმწიფო კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან სხვა გზა არ არსებობს და თუ არსებობს—არსებობს გზა უფსკრულისაკენ“. („ახალი ნაკადი“ № 21, 1919 წ.).

ეს სხვათა შორის მოვიყვანეთ სურათის სისრულისათვის. კმარა. ახლა ვნახოთ თუ როგორი ღირებულებას წარმოადგენს ჩვენთვის რევოლიუციური სინდიკალიზმის სოციოლოგიური მსოფლმხედველობა და მისი პრაქტიკული მოღვაწეობა. ვნახოთ აგრეთვე რა იყო რევოლიუციური სინდიკალიზმი და მისი შრომის საყოველთაო კონფედერაცია გუშინ და რა არის დღეს, მოკლედ როგორი ცვალებადობა გაიარა. სინდიკალიზმმა უკანასკნელ დიდ ისტორიულ განცდათა განმავლობაში.

ნ. ხაქარელი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 თებერვალი

გერმანული პრესის ცნობები.

...(დასაწყისი არ მიგვიღია) გერმანიის საშინაო მდგომარეობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი იძულებული შეიქნება განიხილოს საკითხი ბოლშევიკურ რუსეთთან შეერთების შესახებ, თუ მოკავშირენი დაჟინებით დაიწყებენ დამნაშავეთა გაცემის მოთხოვნას. ლოზუნგი „ეხლა რუსეთისაკენ“ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის და სიჩქარით ვრცელდება. ეს მეტად დააჩქარა რადეკის წერილმა, რომელიც გაზეთებში მოუწოდებს გერმანიას რუსეთთან შესაერთებლად: იგი წინადადებას იძლევა რუსეთთან კავშირის შეკვრის შესახებ და ამბობს, რომ პოლიტიკურად და მატერიალურად ეს ორივე სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნება. ის ამასთანავე ხაზს უსვამს რომ ამ კავშირის მიზანი არ იქნება მაინც და მაინც ანტანტის წინააღმდეგ გალაშქრება. ფიქრობენ, რომ რადეკი ლენინის სახელით ლაპარაკობს. თითონ გერლინიც იმავე მიმართულებით მოქმედებს მთელი თავისი ხელოვნური პოლიტიკოსობით. მართლაც გერმანიას სხვა გამოსავალი არ დარჩება. გარეშე საქმეთა სამინისტროს იძულებულს ხდიან ახლო მიუდგეს რუსეთთან კავშირის საკითხს. კონსერვატიული პარტიის ფრთა, რომელიც თანდათან იზრდება, ამის აშკარა მომხრეა, მაგრამ შეურიგებელი ანტიბოლშევიკური კონსერვატიული პარტია, რომელსაც ლიუდენდორფი ხელმძღვანელობს უარყოფს ბოლშევიკების დასამარცხებლად დასავლეთ ევროპასთან შეერთების იმედს. ამბობენ, ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელიც წარსულ გაზაფხულზე ბოლშევიკებთან კავშირის დამყარებას ცდილობდა, ეხლა კვლავ გამოჩნდა სცენაზე. ყველამ კარგათ იცის, რომ ეხლანდელი მთავრობა ამ მხრივ არავითარ ნაბიჯს არ გადადგამს, მაგრამ მას შეუძლია მოლაპარაკების დაწყება. გარეგნი აცხადებენ: მოქმედების ამგვარ ხაზს ეხლა მეტი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული, ვიდრე წარსულ გაზაფხულზე. რადეკი გერმანიის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ ამბობს: გერმანიას რუსეთი სჭირდება და რუსეთს გერმანია.

ფრანგული პრესის ცნობები.

ბერლინში მყოფმა საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა მარსილიმ შაბათ საღამოს კანცლერ ბაუერს გადასცა მოთხოვნილ პირთა სია. კანცლერმა ხელახლა გერმანიის მთავრობის სახელით მწუხარება გამოსთქვა ფონ ლერსნერის მოქმედების შესახებ.

რომიდან იუწყებიან: ნიტტი ორშაბათამდის გადაჰგზავრება პარიზისაკენ. იგი თან წაიყვანს გარეშე საქმეთა მინისტრს შალოის და შემდეგ წავა ლონდონს, მოლაპარაკების გასაგრძელებლად.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მილერანი ოთხშაბათს ლონდონში მიდის, სადაც ის ინგლისის მთავრობის წევრებს, ლოიდ ჯორჯს და ბაზინის ლორდ-კანცლერს მოელაპარაკება პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების შესახებ. პრემიერ-მინისტრთან ერთად იქნება ფინანსთა მინისტრი მარსელი.

ვენიდან იუწყებიან: „მიტაგ პოსტის“ სიტყვით, დამნაშავე პირთა სიას მოკავშირენი ამ ცოტა ხანში ავსტრიას წარუდგენენ. ეს სია შედგენილია, მაგრამ ჯერ მას უნდა გაეცნონ პარიზში მყოფ სამხრეთ სლავიის, პოლონეთის, რუმინეთის და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლნი. ის არ იქნება ძალიან გრძელი. აღნიშნულ პირთა შორის არის ერცჰერცოგი იოსები, რომელიც ბუდაპეშტში დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობდა და გარეშე საქმეთა ყოფილი მინისტრი გრაფი ბერტჰოლდი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი თებერ. 9 სამხედრო ცნობა. თებ 9. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტერი შეავიწროვა. ონეგის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიციები დაიჭირა. ხელში ჩაიგდო 9 ზარბაზანი და სხვა ქონება. იმავე რაიონში ჩვენ მხარეზე გადმოვიდა ბათალიონი, ხელში ჩავიგდეთ 8 ზარბაზანი. პეტროლოვის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ, რეჭიცის მიმართულებით ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. მტერი პოლოცკს უშენდა. მოზირის და ჟიტომირის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ჩვენმა ჯარმა ანანიევო აიღო. ტირასპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. კუიალნიკზე გადმოვიდა. ოდესის ხელში ჩაგდებით ბრძოლის დროს მტერი არტილერიის დახმარებით დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა. განსაკუთრებით ქუჩებში ბრძოლის დროს მათ ჯავშნიანი ავტომობილები გამოიყვანეს. 8 თებერვალს დილის 8 საათზე მტერი ქალაქიდან სრულიად გავრეკეთ და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ვსდევნით.

პერეკოპის და სივაშის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ნოვოჩერკასის და ველიკოკნიაჟის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. თერგანის ოლქში ბამბაჩეევთან ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. წამოვიყვანეთ ტყვეები. ნიჟნე-უდინსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სად. ზიმა აიღო.

მოსკოვი. 9 თებ.სრ.რუს.სახალ.სამეურ. საბჭომ დაადგინა შეადგინოს სახელმწიფო სატრანსპორტო დაწესებულებათა სპეციალური მთავარი კომიტეტი. (პოლისტრანსპ) ის იქნება სრულ. რუს. სახ. სამეურნ. საბჭოს აღმასრულებელი ორგანო. პირველ რიგში ის დაარსებს მოსალოდნელ პუნქტებში—ესტონეთში და აგრეთვე პეტროგრადში სატრანსპორტო დაწესებულებებს. მთავ. კომიტეტმა ანგარიში დაიწყო ციმბირსა და თურქესტანში მყოფ არსებულ გაერთიანებულ სატრანსპორტო დაწესებულებათა საწყობებისა, რომელთაც უცხოეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის დროს დიდი მნიშვნელობა ექნება.

მოსკოვი 9—2. პეტროგრადში ტრანსპორტის მუშების კავშირის კონფერენცია გაიხსნა. პროფ. კავშირ. თავმჯდომარემ მოუწოდა ყველა მუშებს მთელი ძალა მოიკრიბონ ტრანსპორტის აღსადგენათ. ტრანსპორტის გაუმჯობესებით ჩვენ გავიმარჯვებთ შიმშილზე, სიცივეზე და სხვა დაბრკოლებებზე. კონფერენციამ დაადგინა მთელი ძალა ტრანსპორტის აღდგენ ს საქმეს მოახმაროს. მხოლოდ ამით შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის დასრულება და დამტკიცება.

საზღვარ გარეთ. ინგლისის გენერ ლემ მილნერმა განუცხადა ბათუმის მცხოვრებთ, რომ ინგლისის ჯარი ბათუმის ოლქიდან გადის, მაგრამ ინგლისელები ჯერ კიდევ განაგრძობენ ბატონობას. დანიშნეს სამხედრო გუბერნატორი და სამხედრო სასამართლო.

ამერიკამ იაპონიას მოთხოვნილება წარუდგინა, რომ იგი რუსეთის საქმეებში არ ჩაერიოს. ამერიკა უარს აცხადებს ფინეთისთვის სესხის მიცემაზე. ისინი ამერიკის ფულით სურსათის შეძენას ფიქრობდენ. ყველა გაზეთი სწერს, რომ ავსტრიას სურსათი არა აქვს და უსესხოთ ის შიმშილს ვერ აიცდენს.

ინგლისის მინისტრი ჩერჩილი, რომელსაც საბჭოთა რუსეთთან ომი სურდა, გადადგომას აპირებს. ინგლისური გაზეთები ჩერჩილის წასვლას ხსნიან მისი პოლიტიკის დამარცხებით. ამერიკის მთავრობა ფინეთთან მოლაპარაკებას აწარმოებს, სამშობლოში დაბრუნებულ რუს-კომუნისტების მის ტერიტორიაზე გატარების შესახებ. ფინეთი თანხმდება რუს-კომუნისტების გატარებაზე, თუ სამაგიეროთ ტყვე ფინებს გაანთავისუფლებენ.

იუდენიჩის არმიამ არსებობა შესწყვიტა. დარჩა მხოლოდ შტაბები, ოქროს პაგონებიანები დადიან ავტომობილებით და მოკავშირეებისაგან გამოგზავნილ ფულის მიღებას განაგრძობენ.

ვარშავა 9 თებ. შესდგა პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის გაერთიანებული სხდომა. ლატვიის სამხედრო წარმომადგენელი შეეკითხა პოლონეთის მთავრობას: მიიღებს თუ არა მხედველობაში პოლონეთი, იმ შემთხვევაში თუ ბოლშევიკებთან მოლაპარაკება დაიწყება, იმ ვალდებულებებს, რომელიც მან ლატვიის მიმართ მიიღო. პოლონეთის მთავრობამ უპასუხა, პოლონეთი ლატვიის შესრულებული ფაქტის წინ არას დროს არ დააყენებს. გაზ. „კურიერ პორანი“ იუწყება: „ვარშავის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის მთავარ მოსაზრებას წარმოადგენს ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის და უკრაინის დამოუკიდებლობა. რუსეთის საზავო წინადადებაზე პოლონეთის მთავრობის პასუხს ორ კვირაზე ადრე არ მოელიან.

გომელი. 7 თებ. „ვარშავსკოე სლოვო“ იუწყება, რომ ავსტრიის მთავრობამ კომუნისტ ქალის ბესელრიოის განთავისუფლებასა და რუსეთში დაბრუნებაზე თანხმობა განაცხადა.

ახალი ამბები

ოთხშაბათს, 11 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, თვითმართველობის შენობაში დანიშნულია არაჩვეულებრივი სხდომა ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის და დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის ბიუროს პრეზიდიუმისა. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი კითხვა.

◆ დიდი თოვლის გამო ბაქოს რკინის გზის ლიანდაგზე მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია.

◆ **აკ. წერეთლის ძეგლი.** ახლო მომავალში მოწვეული იქნება, ხელოვნების კომისიისა და ეტნოგრაფიული საზოგადოების შეერთებული სხდომა აკაკი წერეთლის ძეგლის ასაგები პირობების გამოსამუშავებლათ.

◆ **დავით კლდიაშვილის იუბილე.** დავ. კლდიაშვილის იუბილეს გამგე კომისია ყოველ საღამოს იკრიბება. იუბილეს დღე განსაკუთრებული კრებული გამოვა, სადაც მოთავსებული იქნება ლექსები, წერილები და მოგონებანი დავ. კლდიაშვილის შესახებ, კრებულში მონაწილეობას იღებენ: ივ. გომართელი, ნ. ზიუკაშვილი, პ. იაშვილი, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ა. ახნაზაროვი, გ. ქუმბურიძე, ტ. ტაბიძე, კ. ანდრონიკაშვილი და სხვანი.

◆ **წარმოდგენები გვარდიელთათვის.** სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებამ დაადგინა კვირაში ერთხელ ან ორჯერ დასდგას დრამატიული სპექტაკლები სახაზინო თეატრში სახალხო გვარდიელებისათვის. ამ დღეს გვარდიელები განთავისუფლებული იქნებიან ჩვეულებრივ მუშაობიდან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** დღეს ოთხშაბათს ცენტრალურ განყოფილებაში საღამოს 7 ს. მოხდება გამგეობის კრება.

◆ **ლექციები.** დღეს ლექციებს წაიკითხავენ: 7 განყოფილებაში (საბურთალოზე) 1) ექ. ტურიაშვილი „ჰიგიენა“; 2) მ. საყვარელიძე საქართველოს XIX ს. მწერლობა“.

◆ ცენტრში რუსულად ლექციას საქართველოს ისტორიაზე წაიკითხავს ს. კაკაბაძე.

წმინდა ნინოს უბნის და ავლაბრის განყოფილებაში დღეს ლექციები არ შესდგება.

◆ ლანჩხუთიდან მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: 7 თებერვალს ლანჩხუთის მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანმა კრებამ აღფრთოვანებით მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ვლასა მგელაძისა დამფუძნებელ კრების და მთავრობის მუშაობის და საერთო—პოლიტიკის შესახებ, მიესალმება მათ და აღუთქვამს ენერგიულ დახმარებას დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაში. ქალაქის მოურავის ამხანაგი იმნაძე.

◆ მიწის მზომელთა სასწავლებლის მოსწავლე ქართველობა 14 თებერვალს მეექვსე გიმნაზიის შენობაში მართავს სალიტერატურო საღამოს. წაკითხულ იქნება რეფერატი, მოწაფეების მიერ გათამაშებული იქნება ცაგარლის კომედია—„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ ქართველი მწერლების მონაწილეობით გაიმართება დივერტისმენტი. დასასრულ ფოსტა, აუქციონი, ვახშამი და ცეკვა. დაუკრავს ზურნა და სამხედრო მუსიკა.

◆ **ახალი წიგნები** დაიბეჭდა და იყიდება საკუთარ მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9, სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემანი: 1) რუსული ენის გრამატიკა—პროფ. გ. ახვლედიანისა, ფასი 15 მ.ნ. 2) „ინგლისის მოკლე ისტორია“—გ. ნათაძე, ფასი 81 მ. 3) ნ. ბარათაშვილი და მისი დრო—რ. ხომლელის—ფასი 21 მანეთი.

◆ **თფ. რაიონის მებაღეთა შორის.** 11 თებერვალს დილის 9 ს. დანიშნულია თფ. მებაღეების საერთო კრება ორთაჭალაში (ვორონც. ქუჩა ფსხელო შესახვევში ი. შუბლაძეს ბაღში) კავშირის თავმჯდ. მოუწოდებს ყველა მებაღეთა კავშირის წევრებს დაესწრონ კრებას, სთხოვს აგრეთვე მეექვსე რაიონის კოლექტივის წარმომადგენლებს: ი. ირემაშვილს, ვ. ალიხანოვს, ვ. ინწკირველს, გ. თაიბეგოვს, დ. ბუჩაიძეს, რ. გრიგოლოვს და ქარელაძეს დაესწრონ კრებას.

◆ **სახალხო სახლი.** ოთხშაბათს 11 თებ. 1920 წარმოდგენილი იქნება შირვანზადეს პიესა „ნამუსისათვის“ ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც ფული არ გამოგზავნეს, ამიტომ დღეს უკანასკნელად იგზავნება გაზეთები ზუგდიდში და ოჩემჩირეში.

კრებები

ხუთშაბათს, 12 თებერვალს, საღამოს 7 ს. ფრეილინის ქ., № 11, შესდგება საქართველოს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საზოგადო კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ინჟ. მ. ყაუხჩიშვილის მიერ შემდეგ თემაზე: „წყლის ძალების („თეთრი ნახშირი“) გამოყენების საკითხი უცხოეთში და ჩვენში“.

— დღეს, საღამოს 8 ნახევარ ს. დანიშნულია ნ. იმნაიშვილის მორიგი ლექცია „ფილოსოფიაზე“.

ქალაქის საბჭო

9 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეთათვის მე 10 მომატების შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი. როგორც ვიცით, წარსულ კრებაზე საბჭომ ხსენებული საკითხი გასარჩევად და თავისი აზრის წარმოსადგენათ გადასცა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და გამგეობის შეერთებულ სხდომას. მოურავი მოახსენებს სხდომას, თუ რა დასკვნამდე მივიდა შეერთებული სხდომა. წარმოების მუშების შესახებ, ამბობს მომხსენებელი, ეს საკითხი, 60 პროცენტის მომატების შესახებ, საკამათო არ იყო და ეს ერთხმად იქნა მიღებული. კამათი გამოიწვია მხოლოდ მოსამსახურეთა მუშებისაგან გამოყოფამ და მათთვის სხვა და სხვა პროცენტების მიმატებამ. სხდომის ერთი ნაწილი უსწორებლად და უსამართლოდაც მიიჩნევდა მოსამსახურეთათვის ნაკლები მომატების მიცემა. გარდა სხვა მომატებისა, 60 პროცენტის მომატებით განსხვავება იქნება მხოლოდ 558,185 მან. და ეს არ არის ისეთი დიდი თანხა, რომ ამით იმათ გული აუცრუოთ. ამის გამო შეერთებულმა სხდომამ დაადგინა: როგორც წარმოების მუშებს, ისე ქალაქის ყველა მოსამსახურეებს მიემატოთ 60 პროცენტი მუშებს 1 იანვრიდან, ხოლო მოსამსახურეთ 1 თებერვლიდან. უკანასკნელი განსხვავება შეერთებულმა სხდომამ მიიღო, ვინაიდან მან გაითვალისწინა ჩვენი კასის სიღარიბე და თუ რომ მოსამსახურეთაც 1 იანვრიდან მივცემდით, მაშინ ვერ გადავიხდიდით მუშების ჯამაგირებსაც.

ამის შემდეგ შეერთებულმა სხდომამ მოისმინა მოხსენება ზოგიერთ მოსამსახურეთათვის პროცენტების გარდა კიდევ მომატების შესახებ. ასეთია:

1) ქალაქის საავადმყოფოს ექიმები. ისინი შუამდგომლობდენ, რათა მათი ჯამაგირები გაუთანასწორდეს რკინის გზის ექიმების ჯამაგირებთან. გამგეობამ და საფინანსო—საბიუჯეტო კომისიის სხდომამ სამართლიანად სცნო მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ეს მომატება ყველა ექიმზე გამოიწვევს თვიურად 83,000 მანეთის ხარჯს.

2) მილიციის კომისრებსა და მათი თანაშემწეთ უნდა გაუდიდდეთ ჯამაგირები. შეერთებული სხდომის აზრით კომისრის ჯამაგირი უნდა გადიდდეს 4000 მანეთამდე, თანაშემწის კი 3,400 მანეთამდე.

3) ქალაქს ჰყავს სკოლის 3 ინსპექტორი. ისინი 60 პროც. მომატების შემდეგ მიიღებენ 4,800 მანეთს. კომისიის აზრით მათ უნდა მიეცეთ 6000 მანეთი.

4) ტრამვაისა და სასურსათო განყოფილებების ბუხგალტერებს უნდა მიეცეთ 6000 მანეთამდე.

5) ტრამვაის სახელოსნოებში მომუშავე მონტიორებსა და მექანიკოსებს უნდა გაუდიდდეთ ჯამაგირი პირველს 4,600 მანეთამდე, მეორეს კი 5,100 მანეთამდე. 60 პროცენტისა და უკანასკნელად მოხსენებული კერძო დამატებები გამოიწვევს თვიურად 5,900,246 მანეთს. თუ რა წყაროებით გადავიხდით ამას, კომისიამ ორ კრებაზე ვერ შესძლო ამის გადაწყვეტა და მომავალ სხდომაზე მოგახსენებთ.

გველესიანი საბიუჯეტო კომისიის სახელით დასძენს, რომ კომისიის აზრით გამგეობის წევრებს უნდა გაუდიდდეთ ჯამაგირი 8,000 მანეთამდე, ქალაქის თავს კი, უნდა მიეცეს 9,000 მანეთი.

ივ. გომართელი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით ეთანხმება 60 პროც. მომატებას, მხოლოდ კომისიის დადგენილებაში შეაქვს შესწორება: იმ მოსამსახურეებს, რომლებიც ღებულობენ 3000 მანეთამდე მიეცეთ 60 პროცენტიანი მომატება, ხოლო იმათ, ვინც 3000 მეტს ღებულობენ, მიეცეთ 1800 მან. იმ პირობით, რომ მათი ჯამაგირების ძირითადი განსხვავება დარჩეს. მომატება ყველას პირველ იანვრიდან უნდა მიეცეს. შემდეგ მომატებებს ჩვენი ფრაქცია ეთანხმება. საბჭომ, ივ. გომართელის შესწორებით, მიიღო გამგეობის წინადადება.

ამის შემდეგ საბჭო ისმენს ქალაქის მოურავის მოხსენებას არტისტიულ საზოგადოების თეატრის შენობის იძულებითი ჩამორთმევის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს თეატრის მნიშვნელობას და ქართულ თეატრის მდგომარეობას. შემდეგ აღნიშნავს იმ ზომებს, რომლებიც მან მიიღო, რათა ეს ჩამორთმევა მომხდარიყო სახლის პატ-

რონთან შეთანხმებით. ჩვენ ყოველივე ზომებს მივმართეთ, რათა სახლის პატრონს მორიგებით დაეთმო ჩვენთვის შენობა, მაგრამ ამას ის პირველად არ დასთანხმდა. მხოლოდ იმ დილით, როცა პირველად ეს საკითხი დაისვა დღის წესრიგში და ქვორუმის ნაკლებობის გამო გადაიდო, მან შემოიტანა განცხადება, რომ მას სურს ჩვენთან მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს განაცხადა, რომ ის თანახმაა თეატრი გადმოგვცეს ორი—სამი წლით, იმ პირობით რომ მოიჯარადრე ხელშეკრულობა, თქვენვე გააუქმოთო. 3 დღის შემდეგ გილდგვანოვმა, შენობის პატრონის რწმუნებულმა შემოიტანა განცხადება, რომ საიჯარო გადასახადი თვით განსაზღვროს გამგეობამ იმ პირობით, რომ მოიჯარადრესთან გამგეობამ გააუქმოს ხელშეკრულება. სხლონა იმ დასკვნამდე მივედით რომ თეატრის შეძენა შეიძლება მხოლოდ იძულებითი ჩამორთმევით. ჩვენ თუ მას იჯარით გამოვართმევთ თეატრს, მაშინ არსებულ მოიჯარადრის ხელშეკრულობას ვერ გავაუქმებთ და თეატრით ვერ ვისარგებლებთ. ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს მთელი შენობა ელექტრონის სადგურით და სხვა შენობებით იმ ფასებში, რის უფლებასაც კანონი გვაძლევს.

მზარეულიძე აცხადებს, რომ ამ შენობის ჩამორთმევა ქალაქს არ შეუძლია. ეს არ შედის მის კომპეტენციაში. ამას გარდა, კანონით ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ამას. აქ კი ასეთი საჭიროება არ არის, ვინაიდან თბილისში ბევრია თეატრები. თუ ჩამორთმევა აუცილებელი იქნება, მაშინ ელექტრონის სადგური და სხვა მაღაზიები არ უნდა ჩამოერთვას.

თ. ღლონტი აღნიშნავს, რომ ასეთ ზომებს უფრო განათლებულ ქვეყნებში, ევროპაშიც მიმართავენ. თუ ჩვენ ამ საკითხს შევხედავთ სამართლიანობის პრინციპის მხრივ, არც აქ ვიქნებით მტყუანი, ვინაიდან შენობის პატრონმა რამდენიმეჯერ აიღო ხაზინისაგან მისი ფასი. ის მოითხოვს, რომ პატრონს უფასოთ ჩამოერთვას შენობა. რაც შეეხება მაღაზიებს, ეს ქალაქს დასჭირდება სასურსათო ოპერაციებისათვის. ელექტრონის სადგური კი აუცილებელია თეატრისათვის. ორატორი მიაქცევს საბჭოს ყურადღებას, რომ ხსენებულ თეატრში ფასები ხელმისაწვდომი იყოს.

გოთუა ხაზს უსვამს კერძო საკუთრების მნიშვნელობას კულტურის წინ მსვლელობისათვის და მოითხოვს, რომ ამ საკითხს ფრთხილად მოეპყრან. მას ჩამორთმევა სამართლიანად მიაჩნია, მხოლოდ, რადგანაც შეთანხმება ვერ მოხერხდა, უნდა მოხდეს შეფასება და სამართლიანი ფასი მიეცეს პატრონს.

ახმეტელი წინადადებას იძლევა ჩამორთმეულ იქმნას თეატრის მოწყობილობაც.

ელიავა. რომ ასეთი კანონი, იძულებითი ჩამორთმევისა, წინათაც იყო, ამას ყველა ცნობს, მხოლოდ მაშინ ის სხვა წესით იყო. ჩვენ ძალიან ფრთხილად ვეპყრობით კერძო საკუთრებას და ამას მოწმობს თვით კანონიც. ის არ ეთანხმება მზარეულოვს, თითქოს ქალაქს უფლება არ ქონდეს თეატრის შენობა ჩამოართვას, თეატრზე იზრუნოს. ჩვენი ფრაქციისათვის საეჭვო არ არის, რომ ქალაქს ამის უფლება აქვს, ამბობს ორატორი. რაც შეეხება მზარეულოვის განცხადებას, თეატრი შეიძინეთ და მაღაზიები დასტოვეთო, ჩვენ ვიძენთ შენობას მთლიანად და არა ნაწილ-ნაწილად. ჩვენ არაფერი არ გვექნებოდა შეთანხმების წინააღმდეგ, მაგრამ რადგანაც ეს არ მოისურვა მეპატრონემ და არ მოხერხდა, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია კანონი დავარღვიოთ. რაც შეეხება ავეჯეულობას, ეს საკითხი აქ არ უნდა დაისვას, ვინაიდან ჩვენ ვყიდულობთ თეატრის [illegible] და არა ავეჯეულობას კერძოთ.

გომართელს შესწორება შეაქვს გამგეობის წინადადებაში—თუ შეთანხმება მოხდება, საბჭო უფლებას აძლევს გამგეობას წარმოდგენილი ფასი 10 ჯერ გაადიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოერთვას იმ ფასებში, რომლის უფლებასაც კანონი გვაძლევს.

საბჭომ მიიღო წინადადება: არტისტული თეატრის შენობა ჩამოერთვას პატრონს იძულებით. თუ შეთანხმება მოხდება ერთ კვირაში—ამას შეეცდოს გამგეობა და ქალაქის თავი და მიეცეს მათ უფლება ხსენებული თანხა შეძენის გამოსასყიდათ 10 ჯერ გაადიდოს.

აკაკი ჩხენკელის მოხსენების გამო

აკაკი ჩხენკელის მიერ გაკეთებული მოხსენების გამო მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშები მიიღო:

ხონიდან: ხონის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც მოხსენება გაუკეთა აკაკი ჩხენკელმა, ენთუზიაზმით ესალმება თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას და ფიცს სდებს, რომ მთელი საქართველოს დემოკრატიასთან ერთად გმირულად იბრძოლებს მშრომელთა სამშობლოს დასაცავად და ჭირსა და ლხინში თავის მთავრობასთან იქნება. გაუმარჯოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს მთავრობას.

ქალაქის თავი გარდაფხაძე.

სამტრედიიდან. საქართველოს დამოუკიდებლობის თავგამოდებული მებრძოლის, დამფუძნებელი კრების წევრის ჩხენკელის მოხსენებით რკინის გზის მუშათა კლუბში მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოება გულით გილოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას, როგორც პირდაპირ შედეგს თქვენი და დემოკრატიის სწორი პოლიტიკისა, ჰფიცავს, რომ ის მთელი თავისი ენერგიით და შეძლებით თქვენთან იქნება მრავალტანჯული, მაგრამ კვლავ აღორძინებული ჩვენი სამშობლო საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის, მისი ავლადიდების და კაცობრიობის ოჯახში საპატიო წევრად გახდომის საქმეში.

დამსწრე საზოგადოების მონდობილობით გ. კიკაბიძე.

სენაკიდან. სენაკის მოქალაქეთა მრავალ-რიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება აკაკი ჩხენკელისა, ულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის დიდ დღესასწაულს მის ღირსეულ მეთაურს მთავრობას. მთავრობის დაუღალავმა მუშაობამ სწორი, ნაცადი გზით მოგვცა ორი უდიდესი გამარჯვება: დემოკრატიზმი და დამოუკიდებლობა. გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია გაჰყვება ამ გზას მტკიცეთ და მოიპოვებს საბოლოო გამარჯვებას და დამკვიდრებს ღვთისმიერ ქვეყანას. გაუმარჯოს ჩვენს ღირსეულ მთავრობას, მისი და ჩვენს ღირსეულ ბელადს ნოეს.

კრების თავმჯდომარე მალანია.

ფოთიდან: ფოთის მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებ. კრების წევრის აკ. ჩხენკელისა საქართველოს საგარეო მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: 1) მიესალმოს ჩვენი ხალხის ნების უდიდეს გამომხატველ საქართველოს დამფ. კრებას, მის მიერ არჩეულ მთავრობას და ქართველ ხალხის მცხოვანი ბელადს ნოე ჟორდანიას, 2) უსურვოს ამათ მომავალშიც ნაყოფიერი მუშაობა ქართველი ხალხის საკეთილდღეოთ. 3) კრება თავის სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს საქართველოს საზავო დელეგაციის მუშაობის გამო ევროპაში, რომელიც გამართული იყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ და 4) დასასრულ იგი თავის მოვალეობათ რაცხს მიესალმოს დიდ ბრიტანეთს, ამ უდიდეს დემოკრატიის უძველეს აკვანს და მის წარმომადგენელს საქართველოში გულწრფელ და კეთილშობილ დამცველს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისას მისტერ ოლივერ უორდროპს.

კრების თავმჯდომარე ხამხაძე.

ოჩემჩირიდან: ოჩემჩირის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა ვრცელი მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის აკაკი ჩხენკელისა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, ერთხმათ დაადგინა: მოგესალმოთ თქვენ, ჩვენი ერის ბელადს, და მოგილოცოთ ბედნიერი დღე და გისურვოთ კვლავ ნაცადი გზით მხნეთ განაგრძოთ მუშაობა ჩვენი ერისა და მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ.

ქალაქის თავი უჟრეულიანი.

სამურზაყანოდან: სამურზაყანოს მცხოვრებთა ყრილობამ მოისმინა რა თავის თანამემამულე აკაკი ჩხენკელის მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის და მისი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოგესალმებათ თქვენ და გისურვებთ, რომ შინაურ აღმშენებლობაშიაც მიეღწიოთ მიზანს და გაგემართლებინოთ ის იმედები, რომელსაც ამყარებს თქვენზე საქართველოს დემოკრატია, გაძლევთ დემოკრატიის შვილის სიტყვას, რომ ყოველ თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯს დემოკრატიის სასარგებლოთ ჩვენ დავიცავთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

სამურზაყანოს მცხოვრებთა საერთო კრება.

უცხოეთი

რუსეთი.

გენ. დენიკინისა და უმაღლესი „კრუგის" შეთანხმება უმაღლეს „კრუგმა" წინადადება მისცა გენ. დენიკინს მოაწყოს მთავრობა შემდეგ საფუძვლებზე: 1) წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელსაც კანონმდებლობითი ფუნქციები ექნება; 2) ამ დაწესებულების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა; 3) მთავარი სარდალი სამხრეთ-რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეა, ან მმართველი. გენ. დენიკინმა თავის მხრივ შემდეგი საფუძვლები წამოაყენა: 1) მოეწყოს კანონმდებელი ორგანო ისე, რომ მთავარ სარდალს ჰქონდეს აბსოლიუტურ „ვეტოს" უფლება; 2) მოეწყოს მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დასახელებულ ორგანოს წინაშე, გარდა სამხედრო, საზღვაო, მიმოსვლის და გზათა მინისტრებისა, რომელნიც პასუხს აგებენ მხოლოდ მთავარ სარდლის წინაშე. ამასთანავე გენ. დენიკინი აცხადებს, რომ მთავრობის შედგენა უნდა მიენდოს გენ. ბოგაევსკის უმაღლეს „კრუგის" მონაწილეობით. „კრუგში" გაიმართა კამათი განსაკუთრებით „აბსოლიუტურ ვეტო"-ს და მთავრობის საერთო თუ ნაწილობრივ პასუხისმგებლობის გარშემო. საბოლოოთ გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: 1) შექმნილ იქნეს საკანონმდებლო ორგანო, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგება მიწის მუშათა და სხვ. საკითხების დამუშავებას; 2) მოეწყოს ძალა უფლების აღმასრულებელი ორგანო, რომელშიაც 8 მინისტრი შევა. სამოქალაქო მთავრობა პასუხის მგებელია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე, ხოლო სამხედრო — სამხრეთ-რუსეთის შეიარაღებულ ძალთა უფროსის, გენ. დენიკინის წინაშე.

მოსალოდნელი ცვლილებები. „დობროვოლიის" მთავარ სარდლობაში. მოსალოდნელია ცვლილება „მოხალისეთა" ჯარის მთავარ სარდლობის შემადგენლობაში. გენ. სიდორინს, რომელიც ეხლა დონის ჯარის უფროსობს, მთავარ სარდლის შტაბის უფროსათ ასახელებენ. თუ ასეთი დანიშვნა მართალი მოხდა, მაშინ დონის ჯარის უფროსათ დანიშნული იქნება, როგორც ფიქრობენ, გენერალი მამონტოვი.

დონის ოლქში. ბანკების მუშაობა მიღუნდა, შენახული ფული ბანკებიდან პატრონებს გააქვთ.

ნოვოროსიისკში. მთელი ქალაქი ლტოლვილებითაა გავსილი. ბინის უქონლობის გამო ბევრი ლტოლვილი ქუჩაში იძინებს. გემებით გამოსვლა ნოვოროსიისკიდან ძალზე შეფერხებულია მგზავრების სიმრავლის გამო. სიძვირე უმაღლეს წერტილამდე ავიდა; მაგ., გირვანქა ხორცი—150 მან. ღირს.

აზერბეიჯანი.

კოლექტიურ ხელშეკრულების წარდგენა. 4 თებერვალს პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ და მუშათა ცენტრალურ კონფერენციის პრეზიდიუმმა წარუდგინეს აზერბეიჯანის მთავრობას, ნავთის მწარმოებელთა ყრილობის საბჭოს და ყველა მეპატრონეებს საერთო კოლექტიური ხელშეკრულება. განსაკუთრებულ მიმართვაში მინისტრთა საბჭოსა და შრომის მინისტრისადმი იმედია გამოთქმული, რომ მთავრობა ანგარიშს გაუწევს მუშების უკიდურეს ეკონომიურ მდგომარეობას და შეეცდება დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებები. ამასთანავე პროფესიონალურ კავშირთა საბჭო მოწოდებით მიმართავს მუშათა ორგანიზაციებს, რათა შეთანხმებულათ აწარმოონ მუშაობა და არ დაუშვან კერძო გამოსვლები.

დაღესტანი

განხეთქილება კომუნისტებსა და ოსმალებს შორის. იმ საკითხის გარშემო, თუ ვის უნდა ჰქონდეს დაღესტანში ძალა-უფლება, კომუნისტებ—ოსმალოს აფიცრებს შორის დიდმა უთანხმოებამ იჩინა თავი; არც ერთი მხარე არ არის მეორის კმაყოფილი. ოსმალები წინააღმდეგნი არიან დაღესტანში კომუნისტურ იდეების განხორციელებისა. კომუნისტები კი, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ფრონტს და მუშაობენ „რევოლიუციონურ" საქმეზე, ე. ი. ცდილობენ შექმნან შინაური ფრონტი. სოფ. ლევაშში მყოფი ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკის დამცველი კომიტეტი მთელ ენერგიას „დობროარმიის" წინააღმდეგ ბრძოლას ანდომებს. (ე. გ.)

საფრანგეთი

ახალი ტარიფი. დეპუტატთა პალატამ მიიღო ახალი ტარიფი რკ. გზებზე, რომლის თანახმათაც საქონლის გადასაზიდი ფასი 115 პროცენტით დიდდება, ხოლო მგზავრების—მესამე კლასის—45 პროცენტით, მეორისი—50-ით და პირველის—55 პროცენტით. სოციალისტ დეპუტატის ნეკტუს წინადადებით ახალი ტარიფი არ გავრცელდება მოსამსახურეებზე, მუშებზე და მოსწავლეებზე.

ინგლისი.

უმუშევრობისაგან დაზღვევა. მთავრობის ახალი კანონ პროექტის თანახმად დაზღვეული უნდა იქნეს 11.750 000 მუშა წლოვანობით 16 წლიდან 70 მდე. მამაკაცებმა დასაზღვევ ფონდში უნდა შეიტანონ კვირეულათ 3 პენსი, ხოლო ავადმყოფობის დროს მიიღებენ დახმარების სახით 15 შილინგს; დედაკაცებმა უნდა შეიტანონ 2 ნახ. პენსი და მიიღებენ 12 შილ. დახმარებას. მეპატრონეები ვალდებულნი არიან დასაზღვევ ფონდში აგრეთვე შეიტანონ თვითეულ სულ მუშაზე თავის მხრივ სახელმწიფო იღებს წლიურად მეოთხედს იმ რაოდენობისას, რასაც იხდიან მუშები და მეპატრონეები ერთად.

ბათუმი

4 თებერვალს რკინის გზის დეპოს ვაგონის ცეხში ბათუმის ორგანიზაციის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი რაიონის კოლექტივის მიერ იყო მოწვეული მიტინგი. დაესწრო ექვსასამდე კაცი. ამხ. აიოლომ მოხსენება გააკეთა მომენტზე. მოხსენება შინაარსიანი იყო და დამსწრე საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა.

ილაპარაკეს ბოლშევიკებმაც—პეტცოვმა და მარკარიანცმა, რომელთა სიტყვებს არავითარი გასავალი არ დაურჩა მუშებში. მოხსენებისა და კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

მუშათა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. აიოლოსი მიმდინარე მომენტზე გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ეკონომიური კითხვა, რომელიც განსაკუთრებით მწვავეთ სდგას ბათუმში, შედეგია იმ იზოლიაციის, რომელშიაც ბათუმი იმყოფება და ამით გამოწვეულ პოლიტიკური მდგომარეობისა. პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა მთავრობა აღმოსავლეთში, გვაყენებს იმ საშინელი კატასტროფის წინაშე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს რელიგიური ფანატიზმის აფეთქება აღმოსავლეთში, რაც წალეკავს რევოლიუციის ყოველგვარ მონაპოვარს და გამოიწვევს საშინელ რეაქციას სამხრეთის სამრეწველო პროლეტარიატში. ამ. კავკასიის დემოკრატიის მიზანია მოახდინოს ყველა თავისი ძალების მობილიზაცია რევოლიუციის მონაპოვართა და თავისი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლათ".

ეს რეზოლიუცია ძლიერ პატარა რიცხვის გამოკლებით მთელმა მიტინგმა მიიღო იყო მეორე რეზოლიუცია ბოლშევიკების, რომელსაც ხუთიოდემ მისცა ხმა.

ვ. ა—ხელი.

სახალხო სახლში

8 თებერვალი.

10 საათზე სახალხო სახლის დარბაზი გვარდიელებით აივსო. ყველა ნაწილებიდან და რაიონებიდან მოვიდნენ. 1500-ზე მეტი კაცი შეიკრიბა. დღიხანია, რაც სახალხო სახლში ასეთი კრება არ მომხდარა და აი, ცოტა-ოდენი დასვენების შემდეგ ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონური ლაშქარი თავს იყრის თავის სახლში, რომ მოისმინოს საერთო მდგომარეობის შესახებ ამხანაგის მოხსენება.

10 ნახ. ს. იხსნება კრება.

ამხ. ვალიკო ჯუღელის სიტყვა.

დღეს, ამხანაგებო, იმ ქარტეხილის შემდეგ, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, საშუალება გვეძლევა პირველათ შევიკრიბოთ, მოვისმინოთ ამხ. გეგეჭკორის მოხსენება საგარეო მდგომარეობის შესახებ. თანამედროვე პირობებში, როცა შედარებით სიწყნარეა, როცა შედარებით მდგომარეობა გამოცვლილია, მთავარი შტაბი დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ მუშაობას თავისი ძალების შესაკავშირებლათ, მის სულიერ ვითარების განმტკიცებლათ და დაწყებულ მოძრაობის გამარჯვების დასამთავრებლათ. ჩვენმა ამხანაგებმა, რომლებიც დღემდის მოწყვეტილნი იყვნენ თბილისს, სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდნენ თავიანთ ისტორიული ვალის მოსახდელათ—ხალხის ინტერესებისათვის, თავისუფლების დასაცველათ დღეს საშუალება ეძლევათ მოისმინონ მოხსენება საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. გეგეჭკორის იმ პოლიტიკის და საქმიანობის შესახებ, რასაც აკეთებდა ჩვენი ხელმძღვანელი მთავრობა, გაეცნონ საქმის ვითარებას და ამას მოყვება სხვა ამხ. მინისტრების მოხსენებები, დიდებითი მუშაობა, რომელიც საუკეთესო გზა არის ჩვენი დემოკრატიის ამოძრავებისა, ჩვენი მოვალეობისათვის, ჩვენი საერთო საბოლოო მიზნებისათვის, რომ დემოკრატიამ, რომ ჩვენ, ამხანაგებო, უფრო მხნეთ გავსწიოთ წინ გამარჯვებისაკენ.

ამხ. ე. პ. გეგეჭკორის მოხსენება*)

მე ბედნიერი ვარ, ამხანაგებო, რომ პირველათ თქვენს კრებას უნდა მივსცე ანგარიში საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამას მოითხოვს სრული სამართლიანობა—დემოკრატიზმის პრინციპი. ხალხი, რომელიც ატარებს მძიმე ტვირთს საქვეყნო იდეალების მისაღწევათ, უნდა ეცნობოდეს თავის წარმომადგენელს, მის მიერ არჩეულ მთავრობის მოქმედებას, პოლიტიკას.

ჩვენ დემოკრატიის წრიდან, მის მოძრაობის მოწინავეებიდან გამოვედით, ხალხის ინტერესების დასაცველათ ვიბრძოდით და ამ ბრძოლაში დიდი და საოცარი რყევა განიცადა ცხოვრების პოლიტიკურმა მოძრაობამ. მძიმე და საბედისწერო დღეები გადავიტანეთ, მიუხედავათ საბედისწერო მდგომარეობისა, ჩვენ არ გვიღალატია დასახულ მიზნებისათვის, დემოკრატიისათვის და თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ,—ვემსახურებოდით ხალხს. ჩვენი რამოდენიმე წლების ბრძოლა, რომელსაც ვაწარმოებდით რუსეთის ხალხთან ერთად, ჩვენი გამოსვლა „მესამე დასის" სახით მიმართული იყო ხალხის განათავისუფლებლათ, მუშათა კლასის საბოლოო მიზნის—სოციალიზმის განხორციელებლათ. ამისათვის საჭირო-სი მსხვერპლი გავიღეთ, ამას დიდძალი ხალხი შეეწირა, ჩვენ ვიდექით სწორ გზაზე, დემოკრატიის საშუალებით ვფიქრობდით საუკეთესო მიზნის მიღწევას. დემოკრატიული-ფრონტი, გაერთიანებული მოქმედება, პირობებთან შეფარდებული მუშაობა ერთად ერთი ხიდი იყო გამარჯვებისათვის. რუსეთის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ეს საუკეთესო გზა „დაანგრია გაწყვიტა კავშირი საერთო მოძრაობასთან, ჩამოშალა საერთო გეგმები და ჩვენ, რომლებსაც წინეთ აზრათაც არ გვქონია დამოუკიდებელი ბრძოლა, იძულებული გავხდით, იმ მოძრაობასთან, რომელიც დაშორდა ევროპის მოძრაობას, ევროპის მუშათა კლასის სწორ გზას სოციალიზმისათვის ბრძოლაში და გაჰყვა ბოლშევიკური ექსპერიმენტების გზით. ამიტომ ჩვენ მათ დავშორდით დავშორდით, რადგანაც ჩვენ შორის საერთო ხიდი ჩატყდა, ისინი ისტორიულ მოძრაობის გზას აცდნენ და ამას თან დაერთო ბრესტის სამარცხვინო აქტი—ხელშეკრულება.

ჩვენ საბოლოო მიზანს სოციალიზმს ვუყურებთ, როგორც კაპიტალიზმის, საწარმოო ძალთა განვითარების, საზოგადოებრივ უკეთ ერთობის შედეგს. და თუ ეს პირობები მზათ, მომწიფებულნი არ არიან, მაშინ ყოველივე ცდა უდიდესი დანაშაულობაა. საბჭოთა რუსეთმა რუსეთში დაისახა სოციალიზმის შემოღება, სადაც არავითარი ნიადაგი არაა, სადაც გამეფებულია აზიური მდგომარეობა.

რამდენების თქმულება,—„სინათლე აღმოსავლეთიდან ამოდისო", გამომდინარეობდა ძველი მოვლენებიდან, რომ ქრისტე იშვა აღმოსავლეთში, რომ „ბუდიზმი", „ისლამიზმი" გაბატონდა აზიაში, მაგრამ თანამედროვე სოციალიზმის მებაირაღეთ აღმოსავლეთი შეუძლებელია, ასეთად უნდა გახდეს დასავლეთი. ამის მოთავეობა ისტორიამ ევროპის ხალხებს დააკისრა და ინიციატივა ეკუთვნის არა ჩამორჩენილ განუვითარებელ რუსეთს, არამედ—საფრანგეთს, გერმანიას, ინგლისს და სხვებს.

თუ რა მოახდინა ბოლშევიკურმა რუსეთმა, რა ნაიდინა, სანამდის მიიყვანა რუსეთის ხალხი, ეს თქვენ იცით. მე მინდა ეხლა მხოლოდ რამოდენიმე საბუთი მოგიყვანოთ მათი პოლიტიკური აზროვნების დამახასიათებლად, თუ რა განიცადა და რას მიაღწია მათმა ექსპერიმენტებმა.

ბოლშევიკურმა მოძრაობამ, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ევროპის და შინაურ იმპერიალიზმს, რომელმაც მიზნათ დაისახა ეკონომიური განვითარების შეჩერება, კომუნიზმის შემოღება, დღეს განსაზღვრულ ისტორიულ წერტილზე შეჩერდა და ცხოვრების აუცილებლობის წინაშე დაიჩოქა.

მათი საშინაო დიპლომატიური პოლიტიკა ხომ სხვადასხვა ნაირია და რას გვეუბნება საბუთები?

პირველი არის დამახასიათებელი თურქესტანში, რომ ბოლშევიკების ერთი გამოჩენილი პირი ხალხის ყრილობაზე აშკარად გამოვიდა სარწმუნოების ნიადაგზე, მოუწოდებდა თურქესტანელებს. მე თქვენ წაგიკითხავთ მის სიტყვას, რომელიც ამბობდა: „თქვენი რელიგიური გრძნობა, მაღალი სარწმუნოება მაჰმადიანისა შელახულია, გაქრობას უქადის მუსლიმანობას" და სხვა. აქედან ცხადია, რომ ანტანტის წინააღმდეგ რაზმავს ბოლშევიზმი მთელ მუსლიმანობას სარწმუნოების ნიადაგზე და ეს არის ცეცხლთან საშინელი თამაში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ახალი მოვლენები. ევროპისაგან მოწყვეტილი ბოლშევიზმი თურქესტანში, ბუხარაში, მთაში—„ისლამიზმ" ეძებს გამოსავალს. და ამას ხადიან ისინი, ვინც გამოვიდნენ სოციალიზმის დროშით, პროლეტარიატის სახელით.

რა საერთო აქვს ამ ხალხს პროლეტარიატთან ან კლასთან?

მე მაგონდება ერთი ეპიზოდი ერთი აუდიენციისა, როცა დიდ ვეზირს შეეკითხენ: ვეზირობიდან რომ გადაგაყენონ, რას იზამთო?—მაშინ ბოლშევიკი გავხდებით. ეს მთელი დახასიათებაა. და იმ დროს, როცა ბოლშევიკები აწარმოებენ აღმოსავლეთში ერთ პოლიტიკას, მეორე პოლიტიკას აწარმოებენ დასავლეთში.

ისინი სრულიად დაშორდნენ საერთოდ წინანდელ ხაზს და როცა რუსეთში დაანგრიეს მრეწველობა, რას გვეუბნება ამ დროის მეორე მაგალითი? ბოლშევიკების წარმომადგენელი კოპენჰაგენში მოლაპარაკებას აწარმოებს გამარჯვებულებთან რუსეთში კონცესიების შესახებ და ამ ხრით ლიტვინოვის მოქმედება აშკარათ ამტკიცებს, თუ სად ცდილობენ და სად მივიდნენ ბოლშევიკები.

საოცარი განწყობილებით ეხლა დაშლილი საბჭოთა რუსეთი, მშვიდობიანობას ეძებს. პოლონეთის ხალხთან მოლაპარაკება აქვს. უკანასკნელი [illegible] საოცრო ნიმუშია [illegible] ნელ მდგომარეობისა და სრულიად მათი პოლიტიკური განადგურებისა.

და ამის საბუთი მათი ისტორიული დეკლარაციაა, რომლითაც საბჭოთა რუსეთის აღმას. კომიტეტი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართავს. და აი, ამხანაგებო, პოლონელებთან ზავის მოტრფიალე საბჭოთა რუსეთი რას ამბობს, თავის დეკლარაციაში. „რუსეთის ხალხი ეძებს ზავს, მშვიდობიანობას ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტებთან". და ასეთ წინააღმდეგობაში ჩააყენა ბოლშევიკები ცხოვრებამ. აი ეს დოკუმენტი გახლავს უდიდესი პოლიტიკური ღალატი იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა ბოლშევიკები და რომელმაც საშინლად დასცა რუსეთის ხალხი.

იტალიის მოძრაობა, ბერლინიდან დიდ ვეზირის ლენინთან გამგზავრება, აღმოსავლეთით წაწევა, გადაჭრით ვიცხადებით, სრული პოლიტიკური გაკოტრება ბოლშევიკური თეორიისა, და აი რატომ მოგვმართა ჩვენ ჩიჩერინმა?

ჩვენი პატარა ძალებით განა ესაჭიროება დახმარება საბჭოთა რუსეთს?

ეს იყო სულ სხვა აზრი, სულ სხვა დიპლომატია. ჩვენ ჩამოყალიბებული მტერი ვართ რეაქციისა. ვებრძოდით დენიკინს, რადგანაც ის ჩვენს არსებობას ემუქრებოდა. ეს ბრძოლა იყო თავდაცვითი. ჩვენს ტერიტორიაზე არავის არ მივსცემთ ნებას შემოვიდეს ჩვენდა მოსასპობათ. ამისათვის იბრძოდით თქვენ, ამხანაგებო, მაგრამ საბჭოთა რუსეთის წინადადებას სულ სხვა სარჩული ჰქონდა—ევროპასთან კავშირის გაწყვეტა. ჩვენი სხვის საქმეებში ჩარევა და ჩვენ მიცემულ პასუხის გარდა სხვა პასუხის მიცემა არ შეგვეძლო. ჩვენ შევსწყვიტეთ კავშირი იმ მოძრაობასთან, რომელიც აშორებდა საბოლოო მიზნების მიმდინარეობას. ჩვენ სწორი გზით მივდივართ ევროპიულ განახლებისაკენ, ევროპის დემოკრატიასთან.

ამ საერთო ქარტეხილში ჩვენი მიზანი იყო შეგვენახა ჩვენი ძალები, ავვეცდინა ჩვენი ხალხი განსაცდელს. ჩვენ ამ მხრით დიდი როლი შევასრულეთ: მეზობელ ერთა შორის კეთილგანწყობილება ჩამოვაგდეთ. მივაღწიეთ ყველგან დიპლომატიურ სოლიდარობას. განმტკიცდეს ნორმალური მდგომარეობა.

არსად არ არის მდგომარეობა საშიშარი სურსათის და ფინანსების მხრივ. თვით საბჭოთა რუსეთში ას მანეთობით ისაზღვრება პურის ფასი.

ამ საერთო არეულ-დარევის ხანაში ჩვენ მოვედით დღევანდელამდე. ეს აშკარათ მოწმობს ჩვენი ხალხის სწორ მოძრაობას, მის სიმტკიცეს, თქვენს თავდადებას. ჩვენი მიზანი—დემოკრატიზმი საშუალებაა დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებისათვის. მე მწამს, რაც უნდა დაბრკოლებანი შეგვხვდეს, მას გადავლახავთ თქვენი დახმარებით, მას ავიტანთ და უნდა ვიცოდეთ, ამ უდიდეს ბრძოლაში გამარჯვებული გამოვალთ საერთაშორისო დემოკრატიასთან ერთად.

მოხსენების შემდეგ დაიწყო შეკითხვები:

შეკითხვა 1: როგორია სოჭის მდგომარეობა და ან რა დამოკიდებულება აქვთ მოძრაობასთან გარეშე ძალებს?

პასუხი: სოჭის მოძრაობა ადგილობრივ ხალხის აჯანყებაა დენიკინის წინააღმდეგ. ჩვენ, როგორც ნეიტრალური ქვეყანა, ჩვენს საზღვრებს ვიცავთ. ჩვენ არავითარი პრეტენზიები არა გვაქვს სოჭის ოლქზე.

შეკითხვა II: როგორი არის ბათუმის საქმე, ან როდის გადაწყდება?

პასუხი: ჩვენი ისტორიული უფლება ჯერ დაუკმაყოფილებელი არაა. ბათუმის საკითხი დაკავშირებულია საერთო შეთანხმებასთან. საქართველოს არ შეუძლია უბათუმოთ ცხოვრება. საქართველო უბათუმოთ წარმოუდგენელია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება ჩვენდა სასარგებლოთ გადაწყდება.

შეკითხვა III. მოსალოდნელია თუ არა ახლო მომავალში ბოლშევიკების შემოსევა?

პასუხი: აღმოსავლეთის ამბები დამაფიქრებელია. მხოლოდ მე ვაცხადებ, რომ ბოლშევიკები ამ ჟამად არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ, მათ არ აქვთ ამისი ძალა, მათ არ შესწევთ გამოსვლების ინიციატივა იკისრონ. გარეშე ძალის მიმდინარე პირობებში არ გვეძლევა დღეს საშიშარი სახე, მხოლოდ საშინაოა, ამხანაგებო, ერთი რამ: ხომ გაგიგონიათ „[illegible]". შესაძლებელია ზოგიერთმა ჩვენგანმა გაიფიქროს—ზოგი ერთი ჩვენგანი ყოფილა „ბოლშევიზმიც" და ასე გამყვეს ანარქიას. შინაური ანარქია, შინაური არეულობა, ყველაზე უფრო საშინაოა და აქ გვინდა მტკიცე ნება, რომ ჩვენი ტრადიცია, ჩვენი ორგანიზაცია თავისებური სულით, [illegible] შეებრძოლოს ამ მოვლენებს, თავი არ

---

*) ამხ. გეგეჭკორის ვრცელი მოხსენება მოგვყავს შემოკლებით. №1.

დავიცვათ, ქვეყანა არ გავანადგუროთ, ის, რაც დღემდე შევქმენით არ დავანგრიოთ, და თუ ჩვენში დემოკრატიის ძლიერება ვერავითარმა მაცდურებამ ვერ შეარყია, თუ ჩვენში ასეთივე მწყობრი იქნება ბრძოლა და საქმიანობა, თუ შინაური ფრონტი და ციხე მიუვალი დარჩება, მაშინ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ აგვაოხრებს, და ყოველ დროს ვიხსნით ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ქვეყანას, დემოკრატიის მომავალს, რომლისათვის დიდძალი მსხვერპლი გაიღეთ, თქვენ...

№ 1.

მთავრობაში

29 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— ყველა სახელმწიფო შენობები ტექნიკური თვალყურის დევნის მხრივ დაექვემდებაროს სამხედრო სამინისტროს ტექნიკურ სექციას, რომელიც შეკრებს დაწვრილებით ცნობებს შენობების შესახებ და ყველა, ამ თვალყურის დევნასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტის დროს იქონიებს მსჯელობას რკინის გზასთან არსებულ ინჟინერთა საბჭოსთან.

— შინაგან მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს 10,000 მანეთი 10 მილიონიან ფონდიდან ეპიდემიასთან ბრძოლის დროს დაღუპულ ფერშალ სამსონ დარსაველიძის ქვრივისათვის ერთდროულ დახმარების აღმოსაჩენად.

— ფინანსთა მინისტრის მოხსენება უცხოელთა აქციონერულ საზოგადოებათა საქართველოში მოქმედების შესახებ გადაეცეს დასკვნისათვის იუსტიციის სამინისტროს.

— ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნოს ევგენი ნესტორის ძე ალშიბაია.

— დაარსდეს ქ. თფილისში საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა. დებულება საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეის და შტატები მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— განათლების მინისტრის მოხსენება სასწავლო კომიტეტის დაარსების შესახებ დროებითი ინსტრუქციითურთ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. ინსტრუქციის მე 8, 9 და 13 პარაგრაფები ამოიშალოს.

— მოხსენება ბათუმის გიმნაზიისათვის ერთდროულად 299 205 მან. დახმარების აღმოჩენის შესახებ ხარჯთ-აღრიცხვით მიღებულ იქნას და დაევალოს განათლების მინისტრს წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

— მიეწეროს ქალაქთა კავშირს, რათა ის ავტომობილები, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს და ქალაქთა კავშირს დროებით ქონდა სარგებლობისთვის გადაცემული, თანდათან დაუბრუნდეს გზათა უწყებას.

— კახეთის რკინის გზაზე სატრანსპორტო ტვირთის გადაზიდვით ამჟ. არსებული ფასი (12 კაპ. ვაგონ—ვერსზე) გადიდებულ იქნას 40 ჯერ, რაც შეადგენს თითო ვაგონ ვერსზე 4 მან. და 80 კაპ.

ყოველივე გადიდება საქონლის გადასაზიდ ტარიფისა ავტომატიურად ვრცელდებოდეს კახეთის რკინის გზაზე გადასაზიდ სატრანსპორტო ტვირთზედაც.

— მიღებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება სამეურნეო მანქანების და სხვა მასალების შეძენის საქმის მოსაგვარებლად 1,140,000 მანეთის გადადების შესახებ.

მეთამბაქოეთა ყრილობა

ყრილობა იკრიბება 1920 წ. ქ. თფილისში თებერვლის 15 და გრძელდება ამავე თვის 16 და 17.

ყრილობის წევრობა შეუძლიან საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მეთამბაქოს ვინც ამის სურვილს ყრილობის გახსნამდე განუცხადებს მომწვევ კომიტეტის მდივანს.

სამეურნეო საზოგადოებანი, ერობანი, მეთამბაქოეთა კავშირები და ის კოოპერატიულ-საკრედიტო თუ სხვა დაწესებულებანი, რომელთაც კი მეთამბაქეობასთან აქვთ რაიმე დამოკიდებულება, ყრილობაზე გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

მოხსენებები ყრილობისათვის საორგანიზაციო კომიტეტს უნდა ჩაბარდეს ერთი კვირით ადრე ყრილობის დაწყებამდე.

ყრილობას ხელმძღვანელობს მომწვევი კომიტეტი, ვიდრე ამორჩეული არ იქნება ყრილობის პრეზიდიუმი.

ყრილობის წევრთ ეძლევათ 3-რადი ბარათი, ყრილობის დაბეჭდილი ანგარიშები და ყოველივე გამოცემა.

ყრილობის წევრთათვის მოწყობილ იქნება სხვადასხვა ფირმა ქარხნების დათვალიერება.

საწევრო გადასახადი 50 მან.

ჩაწერა და წინასწარ ცნობების მიღება შეიძლება: გრაფის ქუჩა № 2, 10—2 ს.

პროგრამა ყრილობისა 1. პლანტაციები. 1) თამბაქო საქართველოში 2) სნეულებანი და მათთან ბრძოლა, 3) პლანტაციების მოვლა, 4) ნიადაგის გამოფიტვა და მისი განოყიერება. 5) მუშათა საკითხი პლანტაციებზე, 6) გადასახადები.

2. თამბაქოს წარმოება. 1) თამბაქოს წარმოების მდგომარეობა, 2) კანონმდებლობა ქარხნებისათვის, 3) აქციზი.

3. საზოგადო კითხვები. 1) [illegible] ცოდნათა გავრცელება, 2) მონოპოლიის კანონები და მისი გავლენა და განხორციელების წესი, 3) აგრარული რეფორმა და მისი გავლენა. 4) ფერეცლოვან თამბაქოთ ვაჭრობა და ექსპორტი, 5) კრედიტის მოწყობა თამბაქოს საქმისათვის, 6) ზომები საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, 7) მეთამბაქოთა ყრილობის პერიოდული წესი და მუდმივ ცენტრალური ორგანოს შექმნა.

პ. კავშირთა კავშირში

5 თებერვალს შესდგა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის სხდომა. განსარჩევი იყო საკითხები: 1) კოლექტიური ხელშეკრულების იმ მუხლის შეცვლა, რომელიც ეხება სატარიფო პალატის სამუშაო ქირას. 2) სურსათზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის განცხადება ფურნეების მომუშავეთათვის საკვირაო დასვენების შესახებ. 3) აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების მოსამსახურეთათვის სალიკვიდაციო მიცემის შესახებ. 4) საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრისათვის შესაფერი ბინის აღმოჩენის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ კამათში მონაწილეობა მიიღეს აზიტიანმა, გოლდმანმა, დობორჯგინიძემ და ხელაძემ. ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია: თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა, გაარჩია რა მეღვინეთა შესახებ სატარიფო პალატის მიერ კოლექტიური ხელშეკრულობის იმ მუხლის შეცვლა, რომელიც ეხება სამუშაო ქირას, სატარიფო პალატის მოქმედება მიაჩნია სამართლიანად და მიზან შეწონილად.

— ადგილობრივ ფურნეებსა და თონეებში მომუშავეთათვის, შემოღებულ იქნას საკვირაო დასასვენებელი დღეები.

— აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მოსამსახურეთ, სეკრეტარიატის დადგენილებით, უნდა მიეცეთ სალიკვიდაციო თანხა ვისგანაც ჯერ არს; მხოლოდ ამ საქმის სისრულეში მოყვანისათვის და სამხედრო მინისტრთან მოსალაპარაკებლად არჩეულ იქნენ ამხ. ხელაძე და დობორჯგინიძე.

— საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ცენტრს მიეცა ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის ბინა.

ს.-დ. პარტიაში

თიანეთი. 21 დეკემბერს დ. თიანეთში შესდგა სამაზრო ყრილობა პარტიის წევრთა.

მთელ მაზრაში პარტიის წევრი ყოფილა 158. კრებას დაესწრო 98 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ელ. პაპავა, მდივნად ვარდენ ჩხაიძე. ამხ. პაპავამ აღნიშნა რა, რომ ეს კრება არის მაზრაში პირველი და დღეიდან მაზრას პარტიის სახით უჩნდება ნამდვილი პატრონი, უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა. დღიურ წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) ორგანიზაციული საკითხები, 2) საქ. სოც.-დემ. და მუშათა საკითხი, 3) საქ. სოც.-დემ. და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, 4) მიმდინარე მომენტი, 5) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა. საორგანიზაციო საკითხები კრებას აუხსნა ამხ. პაპავამ, რომელმაც გააცნო კრებას, თუ როგორ შენდება ჩვენი ორგანიზაციები ძირითადიდან დაწყებული თვით ცენტრ. კომიტეტამდე. აგრეთვე აუხსნა კრებას პარტიული ყრილობის დანიშნულება, საკონტროლო კომისიის უფლება მოვალეობანი და მოუწოდა წევრთ ეცადონ და გაამაგრონ ჩვენი ორგანიზაციები სოფლად.

2. საქ. სოც.-დემ. და მუშათა საკითხის შესახებ კრებას მოახსენა ამხ. ნ. ნადიბაიძემ. მან გაარჩია ჩვენი პარტიის ისტორია, მისი ღვაწლი მუშათა საქმისათვის და მოუწოდა წევრთ ხელ-ხელ ჩაკიდებული ვიაროთ პროლეტარიატთან ერთად, გავამაგროთ პარტია და მთავრობა, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი განვახორციელოთ.

3. საქ. სოც.-დემ. და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა აუხსნა კრებას ვარდენ ჩხაიძემ. მან გააცნო კრებას პარტიის შეხედულებანი ამ საქმეზე, დამოუკიდებლობის ისტორია, მისი წარმოშობა ამ დიდ რევოლუციის დროს და პარტიის ბელადთა მუშაობა ევროპაში 1918 და 1919 წლებში ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობად ევროპის ხალხთათვის. დღეს თუ არა, ხვალ ჩვენი დამოუკიდებლობა ცნობილი და აღიარებული იქნება, რადგანაც ჩვენ თანაგვიგრძნობენ ევროპის ქვეყნების მშრომელთა კლასებით, რაც იმათ წარმომადგენელთა ყრილობებზე უკვე გამოსთქვესო, სთქვა ვ. ჩხაიძემ მოხსენების დასასრულს. 4. მომენტის შესახებ მოახსენა კრებას ამხ. კოტე ბრეგვაძემ, რომელმაც გაიხსენა „ბოლშევიკების“ გამოსვლები, შემადგენლობა ამათი ძალებისა, მიზნები და მოუწოდა წევრთ მხარი მისცენ მთავრობას „ბოლშევიკებისა“ და დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კრებამ მოხსენებები ყურადღებით მოისმინა და შესაფერისი გადაწყვეტილებები მიიღო. კრების დასასრულ არჩეულ იქნა თიანეთის პირველი სამაზრო კომიტეტი, 15 კაცისაგან შედგენილი: ელდ. პაპავა (თავმჯდომარე), კოტე ბრეგვაძე (თავმჯდ. ამხანაგი), ვარდენ ჩხაიძე (კომიტეტის მდივანი), პროკოფი დოლიძე (ხაზინადარი), ნ. ნადიბაიძე (თავ. ამხანაგი). გიგლა აფციაური, დავით მეჯლუმოვი, ივ. თურქიაშვილი, თედო აბრამიშვილი, ის. შუშანაშვილი, იოს. აბრამიშვილი, ნ. ფუქსაშვილი, ალ. მოსემდგვდლიშვილი, ალ. ობგაიძე და ანდრო ბუჯიაშვილი (წევრებათ).

ანიკო გონჯილაშვილი, იოს. სისაური, გ. მარჯიაშვილი, გაბრ. სეხნიაშვილი და დავით წიკლაური (კანდიდატებათ).

მდივანი ვ. ჩ—ძე.

მუშათა შორის

თფილისი. 6 თებერვალს მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანმა საერთო კრებამ ამხ. აკაკი ჩხენკელის მოხსენების შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების მრავალ-რიცხოვანმა საერთო კრებამ 6 თებერვალს მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის აკაკი ჩხენკელის—„საქართველოს საკითხი და საერთაშორისო მდგომარეობა“,—სავსებით იწონებს საქართველოს სუვერენულ ორგანოს—დამფუძნებელ კრების და მისი ნდობით აღჭურვილ დემოკრატიულ სოციალისტურ მთავრობის გადადგმულ ნაბიჯებს, როგორც საშინაო პოლიტიკო-ეკონომიურ სფეროში, ისე საგარეო საქმეებში, რომლის წარმომადგენლების სწორმა ნაცადმა დემოკრატიულმა ტაქტიკამ დასავლეთ ევროპაში, საქართველოს საკითხი საერთაშორისო დემოკრატიისათვის მისაღები გახადა და ამით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ევროპის სახელმწიფოთა შორის დამოუკიდებელ სუვერენულ წევრათ შესვლას საძირკველი ჩაუყარა, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს de facto-ს ცნობით.

ესალმება დასავლეთის ევროპის დემოკრატიას და თამამათ საქვეყნოთ აღიარებს, რომ ის არ დაუშვებს საქართველოს დამოუკიდებლობის დროშას ძირს და საერთაშორისო შეერთებისათვის იბრძოლებს ინტერნაციონალთან ერთათ.

ამასთანავე სურვილს გამოსთქვამს ევროპის სახელმწიფოებს დაჩქარებით გადაეჭრას ბათუმის საკითხი საქართველოს დემოკრატიის სასარგებლოთ და საკეთილდღეოთ“.

კულტურული მუშაობა რკინის გზებზე ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ კულტურა-განათლების კომისია აქვე შესდგა ლექტორების მოწვევას მუშა-მოსამსახურეებში ლექციების წასაკითხავათ. რომ ლექციების კითხვას სისტემატიური ხასიათი მისცემოდა რკინის გზაზე, მან უკვე გამართა მოლაპარაკება დამფუძნებელ კრების ფრაქციის ბიუროსთან, რომ დაეთმოთ კულტურა-განათლების კომისიისათვის მომზადებული ლექტორები სხვადასხვა სოციოლოგიურ პოლიტიკო-ეკონომიურ საკითხებზე ლექციების საკითხავათ.

ამ წინადადებას ბიურომ თანაგრძნობით შეხვდა და 6 თებერვალს კომისიის ხელმძღვანელობით მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში აკაკი ჩხენკელმა ფრიად საინტერესო მოხსენება გააკეთა საქართველოს და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. განზრახულია ასეთი მოხსენებების გაკეთება ჩხენკელის მიერ ხაზზედაც, რაც დროის შესაფერისი და საჭირო არის. სასურველია ასეთ შინაარსიან ლექციებზე და მოხსენებებზე ხალხი მრავლად დაესწრებოდეს და ამით ცენტრალურ კულტურა-განათლების კომისიის სიმპატიურ განზრახვას სისრულეში მოიყვანდეს.

პროვინცია

ხაშური. 15 თებერვალს დანიშნულია ხაშურის კოოპერატიული საზოგადოების „ცხოვრება“-ს ჩვეულებრივი წლიური კრება. კოოპერატივი „ცხოვრება“ დაარსდა 1915 წლის ნოემბერში. პირველ დღიდანვე ის არ აცდარა თავის მიზანს და შეძლების გვარად ხელს უწყობდა მიეწოდებინა თავის წევრებისათვის სალი. საქონელი იაფ ფასებში. წლიური მოგება კი ყოველ წელს ნაწილდებოდა კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოთ, მაგალითად გასულ წელს იქნა განაწილებული ამ მიზნით 40.000 მან. რაც შეეხება საქონლის შეძენას—თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საპაიო თანხა უდრის 19 130 მან. ძირითადი კი 28.051—97 კაპ. ადვილი გასაგებია, თუ რამდენად შესძლებს ეს საზოგადოება 2 000 თავისი წევრების აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, გამგეობამ ამ წელში შეიძინა 851—495—78 კაპ. საქონელი, რომელიც იყიდებოდა ხელმისაწვდომ ფასებში—მაგალითად: თუ საპონი დღეს ხაშურში ფასობს 40—45 მანეთი გირვანქა, აქ იყიდება 25 მანეთში, მარილი კერძო ვაჭართან ფუთი 100—120 მან. კოოპერატივში 40 მან. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ კოოპერატივში პირველ მოთხოვნილებათა საქონელი არ ჩერდება თვეობით.

მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის საქმის მდგომარეობა გამოიხატებოდა შემდეგში: აქტივი (ნაღდი და გაცემული). ნაღდი ფული კასაში 98 169—43 კაპ., საქონელი გასასყიდი ფასით 93 685—69 კაპ., საპაიო თანხა გომის კოოპ. კავშირში 1.156—25 კაპ., საზოგადოების მართებთ სხვადასხვა პირებს 36 563—12 კაპ., ქონება 1.026—35 კ., სულ 230.600 მან. 84 კ.

პასივი (თანხები და ვალი): საპაიო თანხა 19 130—00. ძირითადი თანხა 28 051—97 კ. გომის კავშირიდან წამოღებ. საქონ. ვალი 13 850—00. საზოგადოების სხვადასხვა ვალები 40 366 მან. 1918 განაწილებული გაუტანელი მოგება 4.350—00 დარჩენილი საქონლის მოგება 21 303—98. წმინდა მოგება 103.545—89 კ. სულ 230 600—84.

როგორც მკითხველი დაინახავს, საზოგადოება დგას მკვიდრ ნიადაგზე. ჩვენი აზრით კოოპერატივი „ცხოვრება“ სხვადასხვა მისი უპირატესობის გარდა სამსახურს უწევს მთელ საზოგადოებას მით, რომ ის ერთგვარ რეგულატორულ როლს თამაშობს ბაზარზე ფასების განსაზღვრაში.

ვ. ზაქარიაშვილი.

სუფსა. 31 იანვარს ფოთიდან ავტომობილით სუფსაში მოვიდა ამხ. აკაკი ჩხენკელი, რომელიც მიემგზავრებოდა ოზურგეთში. მისი მოსვლა ელვის სისწრაფით მოედო მთელ დაბას. მიუხედავათ იმისა, რომ თოვლი იყო, დიდძალი საზოგადოება მოაწყდა სადგურს. შევამჩნიეთ, რომ აკაკის მოსვლით ყველა აღფრთოვანებული იყო.

აკაკიმ ვრცელი მოხსენება გააკეთა. მან ბევრი რამ ისეთი სასიამოვნო უამბო დამსწრე საზოგადოებას, რაც პრესაშიც არ ყოფილა. დამსწრე საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დარჩა. მისი უკანასკნელი სიტყვები ხალხმა ტაშის ცემით დაჰფარა, ორთქლმავალიც დაიძრა.

აკაკის წასვლის შემდეგ შორეულ სოფლებიდან დიდძალი ხალხი ჩამოვიდა, მაგრამ, როცა აკაკი აღარ დახვდათ, გულ დაწყვეტილნი უკან გაბრუნდნენ.

ბ. მანტურია.

ხ. ლანჩი (ხონის რაიონი). 27 იანვარს ხონიდან გზათ გამოიარა შინაგან და სახალხო განათლების მინისტრმა ნ. რამიშვილმა. ლანჩ-ქვიტირის თემის სამმართველოსთან მას შეეგება ადგილობრივი თემის გამგეობა და მრავალი ხალხი. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელმა ვასილ სანაძემ მინისტრს სიტყვით მიმართა. მოწაფეებმა უგალობეს ჰიმნი „დიდება“. მინისტრმა დაათვალიერა ყველა ადგილობრივი კულტურული დაწესებულებები: სკოლა, სამკითხველო, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, კოოპერატივი და სხვა, რითაც დიდათ კმაყოფილი დარჩა. მინისტრმა მიულოცა ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობა და მოკლეთ გააცნო დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. აქვე სოფლის მოწინავე პირებმა აუხსნეს მინისტრს სოფელ ლანჩის ორად გაყოფის მიზეზები. მინისტრმა აღუთქვა მათ თფილისიდან კომისიის გამოგზავნა და მოდავე მხარეებს შორის სწორი ხაზის გავლება.

დამსწრე.

წერ. რედაქციის მიმართ

„სახალხო საქმის“ № 740-ში დაბეჭდილია სიღნაღის სამაზრო ერობის ხმოსნის ბ. მ. ხატიაშვილის წერილი, რომლითაც ის მთხოვს გაზეთის საშუალებით გამოვაქვეყნო, რაც ვიცი იმ ფულების შესახებ, რომელიც მან, ხატიაშვილმა, გამოგზავნილი სიღნაღის სამაზრო შტაბის სახელით ჩამოართვა დედოფლის წყაროში სხვადასხვა პირთ ჩხრეკის დროს.

სიამოვნებით ვასრულებ ბ. მ. ხატიაშვილის წინადადებას. და ვთხოვ, პატივცემულ რედაქციას ადგილი დაუთმოს ჩემ განმარტებას. ყოველივე ნათქვამი მ. ხატიაშვილისაგან წერილში სრული ჭეშმარიტებაა, გარდა იმ ადგილისა, სადაც ის ამბობს: „როცა მე მეხილდ კლიმიაშვილს შევეკითხე, მან მიპასუხა, რომ აღნიშნული ქონებიდან შტაბმა მხოლოდ ოქროები და 12000 მანეთი ბონებით გადმომცაო“. მე ამის თქმა არ შემეძლო, საქმე ასე იყო: სამაზრო ერობამ მიიღო მთელი საქმე დედოფლის წყაროზე მომხდარ ჩხრეკა დაპატიმრების შესახებ; აგრეთვე პარკებით ოქრო, ვერცხლი და თერთმეტ ათასამდე ნიკოლოზის ქაღალდის ფული.

ოქრო-ვერცხლი და ქაღალდის ფული კარგა ხანს ინახებოდა სიღნაღის ხაზინაში პარკებით, მაგრამ ხაზინადარმა რამდენჯერმე მთხოვა პარკები წამეღო სალაროდან ან და ჩამებარებინა ხაზინისათვის არსებული წესით. რამდენიმე ასეთი მოთხოვნის შემდეგ მე იძულებული ვიყავი ამესრულებინა ხაზინადრის თხოვნა და ვგონებ, 15 მაისს 1919 წელს დავავალე მაშინდელ სიღნაღის მაზრის სკოლების გამგეს ბ. ლეონიდე ხუციშვილს შტაბისგან მიღებული ოქრო, ვერცხლი და ნიკოლოზის ფული (ქაღალდისა) ჩაებარებინა ხაზინაში არსებული წესით, და სამაგიეროდ მიეღო საქართველოს რესპუბლიკის ბონები.

ასევე მოხდა. სიღნაღის მაზრის ერობის გამგეობის საბუღალტრო წიგნებში გატარებულია მიღებულად ხაზინიდან 12000 მანეთი, რომელი თანხაც ერობის გამგეობამ უნდა მისცეს ამ ფულის პრეტენდენტებს. ოქრო, ვერცხლი და ნიკოლოზის ქაღალდის ფული ამ დღიდან უნდა ირიცხებოდეს სიღნაღის ხაზინის სათანადო წიგნებში.

ჩემი განცხადება: „ოქროების მეტი არაფერი არ მიმიღია“, თუ ასეთი სიტყვა იყო ჩემგან ნათქვამი ბ. ხატიაშვილთან ლაპარაკის დროს, ალბად შეეხებოდა იმას, რომ ერობის გამგეობას არ მიუღია ყველა ის იარაღები და ნივთები, რომლებიც ხატიაშვილმა გადასცა სიღნაღის სამაზრო სახალხო შტაბს

მ. კლიმიაშვილი.

4 თებ. 1920 წ. ქ. გორი.

გულითად მადლობას ვსწირავ ამხანაგებსა და ორგანიზაციათ, რომელთაც როგორც მატერიალურად ისე თანაგრძნობითაც განაწილეს ჩემი მწუხარება ჩემის ქმრის ნიკო იოსების ძის ოთარაშვილის გარდაცვალების გამო. მატერიალური დახმარება მივიღე შემდეგი ორგანიზაციებიდან: მუშათა საბჭოს აღმასრ. ცენტრ. კომიტეტისაგან 10,000 მან., ბეჭდვითი სიტყვის პრ. კავშირისაგან—2 000 მ., კოოპერატ. „ლორძინების“ საზოგადოებისაგან—5,000 მან., კოოპ. „ლორძინების“ მუშა-მოსამსახურეებიდან—3,000 მ. სულ 20,000 მან. რისთვისაც დიდ მადლობას ვსწირავ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს.

ზინაიდა მეხლოვა-ოთარაშვილი.

განცხადებანი

30 იანვარს, ხამტრედიაში

დავკარგე

სამხედრო თავისუფლების ბილეთი და პირადი მოწმობა, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ეს დოკუმენტები ჩაითვლება გაუქმებულად. ხარიტონ გუნიაშვილი. (493—1—1)

ექიმი ა. ლევინშტეინი

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების: ჰეპების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სნებით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ქლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაცილით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 60)

ექიმი

გ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება სად. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრიევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი დ. მ. [illegible]

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებების ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 27, [illegible] ახლო.

ექიმი ა. დ. კაკულია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოდ“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ფლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფლექის ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92. 3330—თ.

ექიმი

ნ. ლ. ცურიაშვილი

იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო საავადმყოფო

ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დაარსებ. 1880 წ.

ყოველ დღე კვირის გარდა.

„606“ და „914“ 11—12 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).

გ. მ. ამახარაძე —10—12 ს. შინაგ ნერვ. და საბავშო ავად. აცრა.

მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.

კარაჯაბ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.

ე. ა. ხორენეკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).

ტერ გრიგორიანი—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.

ღარიბებს დარიგება უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო

მ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97 (სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები. (თ. 218)

ექიმი ვ. მ. მძინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მელიქხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—37. (114—თ).

ექიმი ქალი ვ. ხ. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28 (თ. 3065).

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 საათ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

ზ. შ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მიხაკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი მ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 33.

[illegible] № 1.